— როგორც ფუცა, სკოლის დირექტორი ხართ და ბეჭრ ადამიანთან გაქვთ ურთიერთობა ქრისტიან და მუსლიმან აჭარლებს შორის რა განსხვავებას ხედავთ?

— ვერანაირა. უკვე 28 წელია, სკოლაში ვეუშაობ. ყველანაირი სოციალური ფენის წარმომადგენელთან მქონია ურთიერთობა და შემიძლია, თამამად ვთქვა — აჭარელს, ქრისტიანია ის, მუსლიმანი თუ ათეისტი, საქართველო ძალიან უყვარს. მე უმრავლესობაზე ვლაპარაკობ, თორებ ცუდი ყველგან არის. სამწუხაროდ, ქართველებს რწმენა ხშირად, ეროვნებასთან გვაქს გაიგივებული. ისტორიკოსი ვარ და ვიცი, რომ ჩვენი წინაპრებისთვის, სარწმუნოებისთვის ბრძოლა, სამშობლოსათვის ბრძოლასთან ასოცირდებოდა, ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ჩვენთვის ყველა უბედურება მუსლიმანური სამყაროდან მოდიოდა, მაგრამ ახლა რეალობა ხომ შეიცვალა?! რატომ ვცდილობთ, მუსლიმანი აჭარლების გარიყვას და რატომ ვეძახით მათ „თურქებს“?! მერწმუნეთ, მუსლიმანი აჭარლისთვის ყველაზე დიდი შეურაცხყოფა „თათრად“ მოხსენიება და

დედის გინებაა. დედაჩემი, ბებიაჩემი და ბიცოლაჩემი მუსლიმანები იყვნენ, მაგრამ კეცხე მჭადს რომ დააკრავდნენ, ზედ ჯვარს ასვამდნენ, ქართულად ლაპარაკობდნენ. ჩემთვის საქართველოს ისტორია აჭარიდან, კერძოდ — მაჭახელას ხეობიდან იწყება, რადგანაც იქ ყველა ფეხის ნაბიჯზე, ყველა ეკლესისა და ციხის ნანგრევებიდან საქართველოს ისტორია მოჩანს. ზედა მაჭახელას და ტაოში, რომელიც ახლა თურქეთს ეკუთვნის, დღემდე ქართულად ლაპარაკობენ და იქაური ბავშვები თურქულ ენას მხოლოდ სკოლში სწავლობენ.

ჩალგათონი მზავინარი:

— ჩემი შვილი, ნუგზარი თბილისში სწავლობდა. ერთხელ მის მოსანახულებლად ჩავედი და მეზობლებმა ვახშამზე დამპატიურება. როდესაც ვთქვი, რომ მუსლიმანი ვარ, ერთ-ერთმა სტუმარმა პირდაპირ მომახალა — უი, თურქი ხარო?!. კინალამ მოვკვდი, ასე დამცირებულად და შეურაცხყოფილად თავი არასდროს მიგრძნია. თურქი კი არა, მუსლიმანი ქართველი ვარ და ჩემი საქართველო ძალიან მიყვარს!

— მუსლიმანი ქართველებისთვის, ნათესავებს შორის ქორწინება რამდენად მისაღებია?

— არა, რას ამბობთ?! ეს ჩვენთვის მიუღებელია, ასეთი რამ აჭარაში არ ხდება.

ჰათონი გურამი:

— ნათესავებს შორის ქორწინება აჭარაში ახლა კი არა, თურქების ბატონობის დროსაც არ ხდებოდა. სხვათა შორის, თურქებად ის აჭარლებიც არ მიიჩნევნ თავს, რომელიც ახლა თურქეთში ცხოვრობენ და ფანატიკოსი მუსლიმანები არიან. თურქეთში მცხოვრებმა ჩვენებურებმა ნათესავებს შორის ქორწინება იცით, რატომ დაუშვეს (თუმცა — არა აღალბიძემოლთან და დეიდაშვილთან)? იმიტომ, რომ არ უნდათ, ქართული ისისძლი თურქულს შეერიოს. აი, ასე ემაყებათ მათ ქართველობა და მეც ვამყარო მათთ.

ნინო
ბოლქვაძე

მოგდან წინააღმდეგობა არ შეგხვდებით?

— არა და მეტსაც გეტივით: მათც ვუპირებთ მონათვლას.

— ქალბატონო შეევინარ, თქვენ ხომ არ გიპორებენ შეგლები მონათვლას?

— არა, ღმერტმა დამიტიარობა!

— ასე რატომ ამბობთ?

— ეს ხომ ღალატი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ დართობის შეცვლას სიკვდილი მირჩევინა, ვკლესიაში შევდივარ, დათისებრობისა და იქსოს ხატებს ვეღაპარავები. ერთ ამბავს მოგიყვებით: ჩემი დისშვილი, რომელიც ახლა 21 წლისაა, 6 წლის იყო, როგორც სერიოზული დამწერობა მიიღო. ძალიან ცუდად იყო. მაშინ პირველად შევდი ეკლესიაში, სანთელი ავანთე და იქსოს შევთხოვე — მუსლიმანი ვარ, მაგრამ ძალიან გთხოვ, ჩემი დისშვილი, ბესივი გადამირჩინებული! მართლაც, გადამირჩინა.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ დისშვილის გადაწყინება იქსოსთვის გვთხოვთ და არა თქვენ ღმერტოსთვის?

— იმ პერიოდში ჩემი მეუღლის მეგობარი შეიღებს ნათლავდა. ქმარმა მეც წინიყვნა ნათლობაზე ეკლესის წინ რომ აღმოჩენდი, მეც მომინდა სანთლის დანთება.

— თქვენ დისშვილიც მუსლიმანია?

— მაშინ მუსლიმანი იყო, ახლა — ქრისტიანია.

დალიკა გოლძევაძე:

— ჩემი შვილები და შვილიშვილებიც ქრისტიანები არიან. მოხარული ვარ, რომ ისინი მაინც დაუპროუნდნენ ჩვენი წინაპრების რწმენას, მაგრამ მე მუსლიმანად დავიბადე, გავიზარდე და ახლა ქრისტიანი ვერ გაეციდები.

— არც შვილების გამო?

— თუ სასწორზე მათი სიცოცხლე დადგა — კი, სხვა შემთხვევაში — არა.

— თქვენ რამ გადაგარებულინათ ქრისტიანობის მიღება?

თენო, ქალბატონი დალიკა შვილიშვილი, 14 წლის:

— ეს ჩემი დიდი ხინის ოცნება იყო. ვიდრე მოვინათლებობდი, ჩემს ბიძაშვილებს ტამარში მანაძლეც დაყვებოდი. ჯვარსაც მონათვლამდე ვემთხვი.



დასაწყისი იხ. გვ. 11

განსასჯელის ჩვენების შემდეგ, ადვოკატმა ვლადიმერ ტაბაღუამ ეჭვეშ დააყენა მისი შერაცხადობის საკითხი და მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა — ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა მოთხოვა — „რათა გაირკვეს განსასჯელის ფსიქიური მდგომარეობა, არის თუ არა ფსიქიურად დავადებული, აქვს თუ არა ფსიქიური ნაკლი. ამის გარკვევა აუცილებელია.“ — განაცხადა ადვოკატმა ტაბაღუამ. ამას მისი დასაცავი — გელიაშვილიც დაეთანხმა:

„სამართლე გითხრათ, ჩემი თავი გიუ ნამდვილად, არა მგონია, მაგრამ ყველა გიუ გეტყვით, რომ ჭევიანია; თანახმა ვარ, ჩატარდეს ექსპერტიზა“. ადვოკატის პოზიცია ბროკურორმა და დაზარალებულებება არ გაიზიარეს. მათ მიაჩინათ, რომ განსასჯელის ჩვენებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. „გელიაშვილი მთლინად აცნობიერებს დანაშაულის სიმძიმეს, მას ყველაფერი აწონ-დაწონილი პქონდა და მიზანმიმართულად მიყვებოდა თავის ჩანაციქრს. არასდროს ყოფილა აღრიცხვა. არც ერთი ახლობელი არ გამოიჭვამს ეჭვს მისი ფსიქიური მდგომარეობის გამო; შეიძლება, ნევროზი სჭირდეს, ნევროზი საქართველოში 90%-ს აქვს, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს ადამიანს პასუხისმგებლობისგან. ეს შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს“, — განაცხადა პროკურორმა. ანალიგიური პოზიცია პქონდა არასრულწლოვანი გახელაძის ადვოკატ თეიმურაზ ბეგიძესაც: „ეს საქმის გაჭიანურებას გამოიწვევს. გელიაშვილს ყველაფერი დიდი ხნით ადრე პქონდა დაგეგმილი, დალაგებულად ჰყვება, როგორ უნდა მოეკლა 4 ადამიანი და დეტალურად აღწერს ყველაფერს, როგორც წინასწარ გამოიებაში, ასევე სასამართლოზე“.

მოსამართლე ბრალდებულის ადვოკატის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილა და მიიჩინა, რომ შუამდგომლობა საპროცესო ნორმების დარღვევით იყო ნარმოდგენილი, რადგან მისი ჩვენების შემდეგ რაიმე ახალი გარემოება პროცესზე არ გამოვეთილა. „თუ გინდათ, კანონი გაძლევთ ამის უფლებას და შეგიძლიათ, თქვენი ხარჯებით დამოუკიდებლად ჩატაროთ ექსპერტიზა და წარმოადგინოთ“, — მიმართა განსასჯელს მოსამართლემ.

სასამართლო პროცესზე მხარეთა კამათი დაიწყო. სულ მაღვე მოსამართლე განაჩენს გამოუტანს გორჩა გელიაშვილს.

დეკლარაციი

ბაზის დანატოვარი ჯიპის სათი, სტუდენტების დროიდები კვარი და ათვისებული საკრედიტო ლიცეის დამისახული

მთავრობის საპარლამენტო მდივანს, გია ბუროვილს ქონებრივი დეკლარაცია არ აქვს შეცვებული, მაგრამ ჩვენ მაინც დაგრიტერესდით, თუ რომ მფლობელია ის. სერიოზული თანამდებობის პირი ძალიან ხალისანი რეპარატული და რომანტიკული ადამიანი აღმოჩნდა.

პროფესიის იურისტია. სწავლის დამთავრების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე დაიწყო მუშაობა — საქმიანობა ლაბორატორიაში დაიწყო და ბოლოს, დეკანის მოადგილე გახდათ. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია და ამჟამად სამართლის პროფესიონალი. „ბეჭრი სტუდენტი მყოლია, მათ შორის — გიგი ნერეთელიცაა, რომელიც პოლემიკისას ამას არ აღიარებს ხოლმე და ზოგჯერ, დამბარის ყიდვაზეც კი მიიფიქრა, როგორც ცუდ გამზირდეს“, — მითხრა საუკრის დასაწყისში.

„საკობი, ფული თუ გაქვს, მოიხსენო და არა გილიდით – ფულმა „მოგიხსენოს“...

თავთა დადებული

— ბატონი გია, რატომ არ გაქვთ შეცვებული ქონებრივი დეკლარაცია?

— ნამდვილად არაფერი დამიმაღალას, დეკლარაციის შეცვების ვალდებულება, კანონით განსაზღვრულ თანამდებობის პირებს აქვთ, ამ ჩამონათვალში კი მთავრობის საპარლამენტო მდივანი ახლადა გაასწენდათ. თუმცა, უკონტროლოდ არავის დავუტოვებივარ — საგადასახადო დეკლარაციას ვავსებ, რომელიც უკვე წარდგენილია და ქონების გადასახადს ამის მიხედვით ვიხდი.

— კონკრეტულად, რა გინერა-თ საგადასახადო დეკლარაციაში?

— მაქვს ორი საცხოვრებელი ბინა თბილისში, მამისული აგარავი მცხოვის რაიონში და მიწის ნაკვეთი. ეს არის და ეს. მიწდა გითხრათ, რომ ამ თანამდებობაზე დანიშნული შემდეგ ჩემი ქონება დიდად არ შეცვლილა, ის მაქვს, რაც მანამდე მქონდა და შეიძლება, უფრო ნაკლებიც კი, ზოგიერთი მიმართულებით.

უფრო კონკრეტულად?

— ანუ მქონდა ორი მანქანა და ახლა პირადი მანქანა აღარ მაქვს. რადგან სამსახურებრივი მანქანით ვარგებლობ, აღარ არის იმის აუცილებლობა, რომ დამატებით პირადი ავტომობილი შევინახო.

— ახლა რა მირგის აფტომობილი გემასურებათ?

— „ტოიოტა კამირი“.

— მცხოვის აგარავს ხშირად სტუმრობა?

— ეს ჩემი წინაპრების სახლია.



როცა სტუდენტი და შედარებით პატარა ვიყავი, მამაჩემი სულ მსაცვდურობდა, იქ რომ არ ჩავდიოდი, მაგრამ წლების მომატებასთან ერთად, მშობლიური მიწის სიცარაული მეტად მომეძალა. სახლი პატარაა, მაგრამ ეზო ძალინ ლამზად მოვაწვევ. პატარა ფაცხაა, რომელის კედლებზე წყალი ჩამოდის განაცხადები. ძალინ ლამზადის განმავლობაში მეწვიოთ და თავად ნახოთ.

ამჟამად სად ცხოვრობთ?

— ახალაშენებულ ბინაში ვცხოვრობ, რომელსაც არა აქვს მისამართი, ჯერ ბოლომდე არ არის დამთავრებული, თუმცა, ექსპლუატაციაში მიღები მიღებად გვედირებით. იმედია, გვედირების განვითარების მიზანით და თავად ნახოთ.



ბა, მალე ჩააბარებუნ და როგორც მინიმუმ, მისამართი მექნება. მანამდე კი, კიდევ კარგი, ჩემს სახლთან ერთი პალმა დგას, რომელიც ღამე ანათებს და მეგობრები თუ ახლობლები მისი მეშვეობით მპოულობენ. ასე რომ, ვიდრე მისამართი არ მაქვს, პალმა მშველის.

— რომელი კომპანია აშენდა თქვენს სახლს?

— არ ვიცი, სიმართლე გითხრათ. გადავურჩით „მქუსარე“ კომპანიებს და რომელიდაც ჩვეულებრივშა კომპანიაშ ააშენა.

— რამდენადაა შეფასებული ქსინა?

— ვერ გატყვით, ფინანსური კრიზისის ფონზე ფასები არასტაბილურია. მე მის გაყიდვას არ ვაირებ და ამიტომ არ ვაფასებ. მანიცდამანც ჭირი არ უნდა ღირდეს, სულ 2 ოთახია. კარგი იქნებოდა, კაბინეტიც ჰქონდა, ამით ფასიც მოიმატებდა და კომფორტიც.

— მანმდე სად ცხოვრობდთ?

— მანმდეც საბურთალოზე ვცხოვრობდი.

— როგორია თქვენი ბინას ოთახების ინტერიერი?

— საერთოდ, არ მჩვევია მოდას აყოლა. ყველაფერს ჩემი გემოვნებით ვაკეთებ, ზოგს შეიძლება, ეს არ მოეწონოს, ზოგს — კი, მაგრამ მთავარია, რასაც შენთვის აკეთებ, მოგწონდეს. როგორც გითხარით, 2 ოთახი მაქვს, ერთ-ერთი მისალებიცა, კაბინეტიც და ა.შ. სადაც დგას ბინინო, სამეული, კედელზე აბსტრაქტული სურათებია გაკრული და სხვა. ასევე მაქვს სამზარეულო, რომელიც ჩემი საყვარელი ადგილია. კარგი პარი მაქვს, კარგი სასმელები და შესაბამისად, ეს ჩემი მეგობრების საყვარელი ადგილიცა, რა თქმა უნდა, მანამ, ვიდრე სასმელი არის, მერე უკვე მისალებ ითახში გადავინაცვლებთ ხოლმე და იქ ვერთობით.

— თუ გაქოთ რაიმე ძვირად დირებული სასტელის კოლექცია?

— ჭირად ღირდებული — არა, მაგრამ საზღვარგარეთ ვიზუალური დროს ყოველთვის ვცდილობ, ე.წ. DUTY FREE-დან 2-3 სასმელი წამოვიყოლო. არ ვსამზადი და ექიმია მირჩა, — თუ არ გინდა, გასუქდე, აღარ დალიორ. უნდა გადავსულყავი ვისკიზე, კონიაკზე და ა.შ. ამიტომ ჩემი კოლექცია ახლა ისეთი სასმელებისგან შედგება, რომლებიც ნაკლებკალორიულია, მაგრამ შეიძლება, კარგ ხასიათშე დააყენოს ადამიანი.

— საერთოდ, თუ გაქოთ რაიმე კოლექცია?

— დიახ, თევზებისა და კოვზების. რომელ ქვეყანაშიც ჩავდიგარ, ყვიდულობ დეკორატიულ თევზს ამ ქალაქის გამოსახულებით და კოვზებს. თითოეული მათგანი იმ ქვეყანას და პერიოდს მასხენებს, რომელიც ყოველთვის სასიამოვნო მოგონებებთანაა დაკავშირებული. ასევე მიყვარს თანამედროვე ტექნიკის შეძენაც. მაქვს „ფრის“ შესაწვავი ე.წ. ფრიტურნიცა, ასევე ყავის აპარატი, რომელიც 4 სახეობის ყავას ამზადებს, კიდევ — ორთქლის ქვაბი და ლუდის ჩამოსახმელიც.

— რომელ ქვეყანას გამოარჩევდით?

— საერთოდ, ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და მიუხედავად იმისა, რომ სადაც წავალ, ყველგან ძალიან სასიამოვნო გარემოში მიწევს ყოფნა, საცხოვრებლად საქართველოს გარდა, არც ერთ ქვეყანას არ ვისურვებდი. თავისუფალი დროისა და შეგებულების სასიამოვნოდ გასატარებლად, იტალიასა და ესპანეთს ვამჯობინებდი. იქაური ხალხი ძალიან გვგავს — ტეპერამენტითაც, მოუწესრიგებლობითაც, ქცევის წესებითაც.

— ტანსაცმელს სად ყიდულობთ

— საქართველოში თუ საზღვარგარეთ?

— ტანსაცმელთან დაკავშირებით, ძალიან ცუდად მაქვს საქმე, რადგან კოლექცია უკვე შემომელია და მიზეზი მარტივია: ახლა დაახლოებით, ვ წომით პატარა სამოსს ვიცვამ, რადგან წონაში საგრძნობლად დავიკლი. ამიტომაც, ჩემი გარდერობი განახლებას საჭიროებს. მაგრამ მანამ, ვიდრე საეჭვოა, „საით წავა“ ჩემი წონა — „ზემოთ თუ ქვემოთ“, — ჯერჯერობით თავს ვიკავებ ახლების შეძენისგან... საერთოდ კი, სადაც და რაც მომენტება, იქ ვყიდულობ, — ბათუმი იქნება ეს, ქუთაისი თუ ევროპული ქალაქი. სპეციალური იდე ფიქსი, რომ შოპინგებზე ვენაში უნდა

ჩავიდე ან მილანში, არ მაქვს. თუმცა გამოგიტყდებთ: კარგად ჩაცმა მიყვარს, კარგ ხასიათშე მაყენებს.

— როგორი სტილის სამოსში გრძელობთ თავს უფრო კომფორტულად?

— სამსახურიდან გამომდინარე, უკვე ჩვევად მექცა მფიციალური ფორმა, სულ ასე მიწევს ჩაცმაცმელი ტანსაცმელი, მასში გაცილებით კომფორტულად ვერძნობთავს... როდესაც ადამიანის ჩაცმულობაზე ლაპარაკი, ხაზი უნდა გავუსვათ ორ მომენტს: ეს უნდა იყოს შენი შინაგანი მოთხოვნილება, რაც შინაგანი კულტურის გამომმახტველია და, მეორე — სხვა ადამიანებისადმი პატივისცემა. მახსოვეს, ქუთაისის უნივერსიტეტში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ვიყავო. რატომძლაც ახალგაზრდებში მოდად იქცა გაუარსავად, მოუწესრიგებლად სიარული. გამოცდაზე ერთი, ასეთ ფორმაში მყოფი კაცი მოვიდა, რათქმა — ასეთივე „დაუღაბებული“ ცოდნით. ვუთხარი: თუ გრძელა, ნახევარი ნიშანი მოგიმატო და სამიანი დაგინერო, ხვალ მოდი, ოღონდ მონესრიგდიმეთქი. მართლაც, მეორე დღეს მოვიდა, „გაპრანჭულ-გაბალდვრიალებული“. არ დამავიწყდება მისი ბებიის ლოცვა: რადგან თქვენ ამას წვერი გააპარსვინეთო!.. (იცინის) შემდეგ ჩემი მეგობრები სუმრობდენ: — ქუთაისში რომ ჩამოდიხარ გამოცდაზე, სამკრვალოებს რიგები უდგათო!..

— ჯანსალი ცხოვრის ნება თუ მისდევთ? ვარჯიშობთ?

— როცა თავისუფალი დრო მაქვს, ყოველთვის ვცდილობ, როგორც მინიმუმ, კარგი განწყობილება შეიღწინა. საერთოდ, ჯობია, მოუარო თავს, ვიდრე — უმკურნალო... ზოგიერთებმა უნდა ვისწავლოთ, რომ აუზზე სიარული, მასაუის გაეთვარი და კბილების მოვლა სირცხვილი არ არის.

— დიეტაზეც ხართ?


— ვიყავი და ამ დიეტამ ერთი კარგი რამ მანავლა — ჯანსალი კვებისა და ცხოვრის ნესი.

სრულიად ამაოდ ვებრძოდი ჩემს ჭარბ წონას (არ დავასახელებ რამდენი ვიყავი) 5 წლის განმავლობაში, ათასნაირი ხერხი, მაგრამ — უშედეგოდ, მერე კი აღმოვარი ენდოკრინოლოგი, თავისი საქმის პროფესიონალი, რომლისაც ნამდვილად ვირწმუნე, რადგან შედეგი დავითები და ვიკინგის 6 თვეში 25 კგ დავიკელი და ამ წონას დღემდე ვინარჩუნებ.

— არ გაგვიმსელთ,



რომელ ქვეყანაშიც ჩავდივარ, ყვიდულობ დეკორატიულ თევზს ამ ქალაქის გამოსახულებით და კოვზებს



**ჩემი
ბიუჯეტი თო
ნაწილად
იყოფა:
ერთი —
პირადად
ჩემთვის და
მეორე —
ოჯახის
საჭირების
სათვის**

ეს როგორ მოახერხეთ?

— შემიძლია გაგაცნოთ ეს ადამიანი — ქალბატონი ხათუნა ხორავა. როგორც კი მასზე კარგს ვიტყოდი, საყოველთაო რისხა მოდიოდა. სამზუხაროდ, ჭევან ადამიანებს ხშირად მტრობენ. ხომ გაგიგონიათ: ცუდას რად უნდა მტრობა, კარგია მუდამ მტრიანიო. ვალიარებ და ქედს ვიხრი თავისი საქმის მცოდნე ყველა ადამიანის წინაშე.

ორიოდე სიტყვა თქვენს ოჯაზეც გითხარით.

— მყავს ქალიშვილი — 11 წლის მარიამი, რომელიც ძალიან მიყვარს. მასში ხშირად, ჩემს თვისებებს ქედზე და ერთადერთი ადამიანია, ვისთანაც პატარა პატევით ვრჩებობს. არც მე ვთმობ და არც ის მითმობს! რაც შეეხება ჩემს ოჯახურ მდგომარეობას, — ველოდები ადამიანს, რომელიც შემიყვარდება და პევრ დაუცინყარ დღეს ვაჩუქებ და — პირიქით...

რა არის თქვენთვის ძვირფა- სა სახულებო წიგნი?

— ელექტროპიანინო — ეს არის ნივთი, რომელიც ჩემი მეგობარია. ხანდახან შეიძლება, მარტო მინდოდეს ყოფნა და ის ყოველთვის ჩემი განტყობილების ადეკვატურია — კარგ ხასიათზე ვარ თუ ცუდზე, შესაბამის მუსიკას ვაედერებ. რა თქმა უნდა, მეგობრების წრეშიც ვუკრავ, ჩემი სახლის კარი არასოდეს იკეტება და როცა სამსახურში ვარ, იქაც მეგობრებთან, კოლეგებთან ერთად ვარ. ვერც წარმომიდგენია ცხოვრება მათ გარეშე და მიმართა, რომ ეს არის ძალიან ლირებული რამ, რაც ადამიანმა შეიძლება, მთელი ცხოვრების მანძილზე შეიძინოს.

— თუ გაქვთ რამე ოჯაზური

დეკლანტი

რელიკვია, რომელიც თაობებს გადა-
ეცმა?

— განსაკუთრებული ნამდვილად არაფერი, ერთადერთი — მაქვს ბაბუა-ჩემის დანატოვარი ჯიბის საათი, რომელსაც მართალია, არ ვმარობ, მაგრამ ის ჩემთვის მაინც განსაკუთრებული წიგნია.

— საყვარელი და განუყრელი
აქსეული თუ გაქვთ?

— განსაკუთრებული არაფერი, საათები მიყვარს და მაქვს ჯვარი, რომელიც მაშინ მაჩუქესა, როცა სტუ-დენტი გავხდი. მას შემდეგ რამდენ-ჯერმე მიმიღია სხვა ოროს ჯვარი საჩიქირად, მაგრამ სტუდენტობის დროინდელს არასოდეს ვიხსნი.

— დაასახელეთ ის საარსებო
მინაური, რომელიც ყოველთვიურად
გჭირდებათ.

— ჩემი ბიუჯეტი ორ ნაწილად იყოფა: ერთი — პირადად ჩემთვის და მეორე — ოჯახის საჭიროებისათვის. საბოლოოდ, რომ დავთვალე, ბიუჯეტის იმდენად მცირე ნაწილი მეხარჯება საკუთარ თავზე, შეიძლება, სათქმელადაც არ ღირდეს. ძირითადი ნაწილი კომუნალურ გადასახადებზე მიდის, კიდევ — ბაზარში, სადაც ერთ დროს ძალიან მიყვარდა სიარული, მაგრამ ამ მთავრობის ხელში სად გაივლი ადამიანი უსაფრთხოდ (იცინის)?.. სხვათა შორის, ამაზე ერთი კურიოზიც მინდა გავიხსენო: დეზერტირების ბაზარი ჩემი ერთერთი საყვარელი ადგილი იყო. როცა იქ შევდიოდი, ბევრი მცნობდა, ყოველთვის ხალისიანად და ღიმილით მხვდებოდნენ, სულ ერთი და იმავე ადამიანებთან ყვიდულობდი ყველს, ხილს, ღიმილის კიტრსა და პომიდორს

— ეს არის ის საკეცი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში შემიძლია, მივირთვა. ერთ დღეს, მთავრობამ ინიციატივა შემოიტანა გარევაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით და მე, როგორც მთავრობის წარმომადგენელს, დამეკისრა, ეს კანონი პარლამენტში გამტეანა, სადაც სრული სერიოზულობით ვისაუბრე გარევაჭრობის უარყოფით მხარეებზე, რამდენიმე დღის შემდეგ კი ბაზარში წავდიდი... მანამდე, როგორც გითხარით,



**ჩემი სახლის
კარი არასოდეს იკეტება**

იქ სრული იდილია მქონდა. ჰოდა, იმიტომ ვთქვი — კარგს რას მოგიტანს ადამიანს მთავრობაში მუშაობა (იცინის)?! შევდივარ და ერთი გაფოფ-რილი ქალბატონის ხმა მესმის: ამას დავაყარე მიწა, ეს არ იყო, ამ ბაზრიდან რომ გვერევებოდან?! აი, ამ ამბის შემდეგ ბაზარში ველარ შევსულ-ვარ თამამად. ამას ისიც მოჰყავა, რომ დეზერტირების ბაზარი დაინგრა და ალარ აშენდა. იმედი მაქვს, ის გალიზიანებული ქალბატონი ცოტა ხაში მოერგება კომუნრტულ დახლს და ბედინერი იქნება.

— როგორც ალნიშნებ, საკუ-
თარი თავისთვის იმდენი თანხა არ
გრძებათ, რამდენსაც ისურვებდით,
მაგრამ მაინც, თუ ახერხებთ მცირ-
ედის დაზიგვას?

— არა, რას ამბობ?! თუ რაიმე თანხა გამიჩნდება ხოლმე, იმ საკრედიტო ლიმიტებს ვაესებ, რომლებიც, როგორც წესი, ათვისებული მაქვს. წესით ადამიანს დანაზოგი უნდა პერიდებს, მაგრამ ჩემი აზრით, მაინც ჯობია, ფული თუ გაქვს, მოიხმარო და არა პირიქით — ფულმა „მოგიხ-მაროსა...“ სხვათა შორის, ჩემს ერთ ბიზნესმენ მეგობარს ვკითხე: რა განსვავებაა — 6 მილიონი გაქვს და 60 მილიონი-მეტეი? მიპასუხა: როცა 60 მილიონი გაქვს, უფრო მეტად ნერვი-ულობო. აქედან გამომდინარე, 600 ლარიც რომ გაქვს ადამიანს, მაინც კარგად გრძნობ თავს, თუ მას შინაარსიანად მოიხმარ.

— რა არის თქვენი ცხოვრების
კრედიტი?

— ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავ-ლა. ჩემთვის ყველაზე ღირებული სიყ-ვარულით ცხოვრება და ჯანსაღი ად-ამიანური ურთიერთობებია. არასოდეს შევაწუხებ ჩემი პრობლემებით ად-ამიანს, როცა ის წარმატების ზენიტ-შია, მაგრამ როცა გაუჭირდება, პირველად ვკითხავ, რით შემიძლია დავეხ-მარო? არასოდეს ვიტყვი უარს მე-გობარზე, რა პოლიტიკური თუ მა-ტერიტორიული ფასიც არ უნდა ჰქონდეს ამ უარს! ყოველთვის შევასრულებ ჩემს მეგობრულ ვალს. მადლობას გადაგიხდი მცირებზე და მაქსიმალუ-რად მოვერიდები სხვასთან შენს აუგად სენტებას. არასოდეს გი-ლალატებ მაშინ, როცა ჩემი იმედი გაქვს და თუ განდეგობაში გადაეწირება უკანას გერეტები, აუცილებლად წიგნის მეტყველების უარყოფით მხარეებზე, რამდენიმე დღის შემდეგ კი ბაზარში წავდიდი... მანამდე, როგორც გითხარით,



სახე

„კომედი-შოუს“ ყველაზე თბილად ჩატარებულ პერსონაჟს — კაცელ ზაურას ანუ მსახიობ ვახო ბიჭიკაშვილს თავს სწორედ იმ დროს დაგადექა, გუნდის წევრებთან ერთად შემოქმედებით წვაში რომ იყო. — სანამ თათბირი დაგვიმთავრდება, ცოტა ხანს დამელოდეო, — მითხვა და იმ ოთხში ჩუმად შეიძირა, სადაც იუმორისტების სკეტჩები იქმნება... ცოტა ხანს მართლაც ვეღლიდე... ამჯერად ვახო თქვენ წინაშე გახდილი (მთლიანად — არა, მარტო „დუბლიონ-კის“ გარეშე) წარდგება...

ელენე გასილიძე

— როგორ ხარ, ვახო? — კარგად... შემოქმედებით ცხოვრებაში უკეთესად ვერძნობ თავს, ვიდრე — პირადში (იღიმება)...

— შემოქმედებითად კარგად ყოფნა რას წარავს?

— გასულ ზაფხულს შოუს ბიჭებმა ნაყოფიერად დავისივნეთ და სექტემბრიდან მუშაობა ახალი ძალითა და შემართებით დავიწყეთ. ამის შემდეგ კი ჩვენი გადაცემების რეიტინგმაც აიწია. მადლობას ვუხდი ჩვენს მაყურებელს...

— როგორ გონია, საზღვარგარეთაც გიყურებენ?

— გასულ ზაფხულს საპერძეოში რომ ვიყავით, მიგვედი, რომ იქაც საკამაოდ ბევრი მაყურებელი გვიყოლია. იქ მცხოვრებმა ქართველებმა გვითხრეს, ჩვენ კი არა, ბერძნებიც გიყურებენო... მართლია, ენა არ ესმით, მაგრამ ალბათ ჩვენს შოუებში რაღაცები მათაც მოსწონთ (იცინის)...

— ვახო, როგორ იწერება თქვენ სკეტჩების სცენარი?

— სულ 20-კაციანი გუნდი ვართ; მუშაობის პროცესში 3-4 გუნდად ვიყოფით; თითოეული გუნდი ამა თუ იმ სიტუაციას ირჩევს და ვიწყებთ ფიქრს. ასე რომ, გვაქვს თემა და სუმრობებს ვიგონებთ... შეიძლება, მე მიშა ანდაულაძეს სუმრობა მოუფიქრო, მან კიდევ — სხვას და ა.შ. იუმორის ფორმულა ვიცით და მისი

ვასო გიზიკაზილის გართობის ობიექტი და ურნალ „გზისთვის“ მისამული პირისა

მეშვეობით ვმუშაობთ...

— შენ ყველაზე გამაურებული პერსონაჟი კაცელი ზაურაა. როგორ დაიბადა ამ პერსონაჟის შექმნას იდეა?

— კასპის რაიონში, სოფელ ხოვლეში ბებია და პაპა მყვანან. ბავშვობაში იქ ხშირად ჩავდიოდი, სოფლის ბირჟაზეც ხშირად მოვხვედრილებრ, სადაც ნელ-ნელა ვარეული „მარგალიტებს“. ერთხელაც, ჩვენი გუნდის წევრებთან ერთად, ქუთაისში სუფრასთან მოვხვდი, სადაც გარშემო მხოლოდ იმერული კილო მესმოდა. ჰოდა, ერთი ქართლურად ამოვიკვენსე,

— რა არის, ამის-მეტქე? მერე ვანო ჯავახიშვილიც ამყვა ქართლურში; შუაში მიშა ანდაულაძე გვეჯდა. მას იდეა მოუყვიდა — მოდი, ქართლული პერსონაჟი შევექმნათ, მაგარი სკეტჩი გამოვაო... ნათესავი მყავს, ზაურა, მამაჩემის ბიძა, რომელიც ამჟამად საბერძნეთში ცხოვრობს და პაროდიაც სწორედ მის მაგალითზე გავაკეთე. მთლად ისეთიც არ არის, როგორიც ჩემი გმირია, მე ცოტა გავაზიადე-ზაურა ქართლელი, კეთილი, ალალი, როხრისა, ცოტა „ტრიაბაზი“ კაცია... მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ დღეს ვახოს აღარავინ მექანის... ზაურა ვარ (იცინის).

— ვახო, როგორ მაგრად გაქვს დამულამებული...

— ჩემს დას აქვს ნიჭი: როცა შინ სტუმარი გვყავს, მის საუბარში ყოველთვის რაღაცას დაიჭერს, რასაც მე შეიძლება, ყურადღება არც მივა-ქციო, მაგრამ მას მინიშვნელოვანი ეპაზოდები არ გამოეპარება... ამას წინათ, მეგრელის პაროდია რომ გავაკეთე, ჩემი დის დამსახურება იყო... ასე რომ, ხომ ხედავ, დაც მეხმარება?

— კაცში ახლაც ჩადიხა?



— იშვიათად, უფრო — დღესასწაულებზე. სხვა დროს გადატეკირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვერ ვახერხებ. იქ დიდი სახლი მაქს, მეგობრებს ხანდახან თუ სცალითა, ისინიც მიმყავს. სოფელში დიდი ბებია მყავს, ჯანზეა და ძალიან ვუფრთხილდებით...

— ხომ არ გაგნაწყენებიან კაცელები?

— ჭორები მსმენია, მაგრამ ჩემთვის პრეტენზია არავის გამოუთქმამს. ერთხელაც, ტაქსიში ჩავჯევი და მძღოლი შეუბნება: როგორ იყო, სიმამრმა რომ გცემაო?.. იმ კაცისგან ჩემზე ასეთი ჭორი შევიტყვე: თურმე კასპელი ცოლი მყოლია და კასპელებზე რომ ვლადაობ, ამის გამო სიმამრი გამინანყენდა, ცოლი წამართვა



**გაურა ქართლელი,
კეთილი, აღალი,
რობორისა, ცოტა
„ტრი პაჩი“ ეპიზიდი...**

და მცემა (იცინის)! ხომ მაგარია?! არადა, ჩემს კასპელებს არასოდეს დავცინი, უბრალოდ, იქაურ ტიპაჟებს გამუქებულად გასახიერებს...

— ყოფილა შემთხვევა, როცა სცენარის დაწერის ხალის არ გქონია?

— მასეთი შემთხვევა ხშირად ყოფილა, ძირითადად, როცა შეყვარებული ვყოფილგარ... ახლა მეგობრებთან ერთად ვცხოვრობ — მე, თემო მუკავა და ფაქტ ერთ სახლში გართ და მოსაწყენად არ გვცალია... ვცდილობ, დამოუკიდებლობას შევეჩიონ და რამდენიმე კვირაა, რაც თვითონ ვუმკლავდები წეპისმიერ საქმეს. თვითონ ვრეცხავ და სადილსაც თავადვე ვამზადებ. როცა ცუდ ხასიათზე ვარ, ამ მდგომარეობიდან მეგობრებს გამოყევარ.

— ვიცი, რომ ონებს ხშირად აწყობა...

— ჰო, ამას წინათ, მე და სალომე ბაკურაძე აეროპორტში ვიყავით. იქ მოლარე ქალბატონს ვეუპნები: ალექსის გავლით კურილის კუნძულებზე გადაფრენა მინდამეთქი. იმ ქალმა, როგორც შევატყვე, მიცნო, მოუნდა, რომ მომმსახურებოდა და ძებნა დაიწყო... ჰოდა, იქ იყო, რომ სალომე ბაკურაძე ჩამიჭირდა და მოსაბრუნებელი გმისხდა. ბოლოს იმ ქალმა მითხრა: ასეთი რეისი ვერ ვიძოვე, კიდევ მოვსები და თუ მოვნახე, დაგირევავო. — კარგი, თუ იპოვით, ჩემს მდივანს დაუკავშირდით-მეოქი, — და სალომეს ნომერი ჩავაწერი (იცინის)... მიყვარს ალალი სუმრობა, ბოროტად

არ ვხუმრობ! აი, სალომეს კი ნამდვილად ვაგიუებ... ასევე მაგრად ვაპნევ ტაქსის მძლოლებსაც. ერთხელაც, ერთ „ტაქსის ისტორია“ საკუთარ თავს ვაგინე, — ვინ არის, მე მაგისი?!? თმა მაინც შეიკრიჭოს; ყველა მაგას მამსავსებს... სადმე რომ შემხვდეს, ყველაფერს თავზე დავამხობმეთქი!.. კაცი გადამერია: რატომ აგინებ? კარგი ბიქია, მთელი ჩემი ოჯახი დიდ პატივს ვცემთ,

რა დაგიშავაო?

— ქუჩაში რომ გცნობენ, რა რეაქცია აქვთ?

— უი, რეაქცია აღარ იკითხო! გოგოსთან ერთად თუ მივდივარ და ამ დროს უკრიდან ბლავილი მესმის: — ღე, „დუბლიონგა!“ — ნარმოიდგინები, რა მდგომარეობაში ვევრდები. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც სიყვარული და ყურადღება არ სიამოვნებს, მაგრამ საქართველოში ამას საშინალად გამოსატავე! თუ ქორწილში მოგზდი, თავიდან, ვითომც აქ არაფერი, თითქოს ვერ გამჩნევენ, ვითომ ვერც გცნობენ... დალევენ და დაიწყება მერე, — შენ გრძაცვალე, აბა, სურათი გადავიღოთ! — და სახეზე მილიონი ადამიანის ნაკოცი მრჩება... აი, ბავშვებს კი გულწრფელად ვუყვარვარ! ჩემი დანახვა ყველაზე მეტად მათ უხარიათ. ამას წინათ, ქორწილში ვიყავო, გარეთ გამოვედი და მანქანაში ჩავჭექი. იმ დროს

ფანჯარაზე ვიღაც ქალი მიკავუნებს: — გადმობრძანდი ერთი გარეთო! გადმოვედი და, — შეძლება, ჩემს შეილთან სურათი გადაგილოთო? — მევითხებოდა... ასეობიც ხდება.

— გოგოები გიუდებიან შეწია არა?

— გოგოებს რაც შეებათ, ჯერ კარი არ აუტალახებიათ. სიმპათიები, რა თქმა უნდა, აქვთ ალბათ, მაგრამ აქტიურები არ მიყვარს. გოგორომ დამირევაც და მკითხავს, — შეიძლება, კინოში დაგმატიურო? — ვგიუდები. მირჩევნია, მისი გაცნობის ინიციატორი მე ვიყო.

— ვახო, მოწყვნილი როდის ხარ?

— როცა ელემენტარულად, გზის ფულიც კი არა მაქვს. მშობლებისთვის ფულის თხოვნა არ მიყვარს. ისე, ვცდილობ, არ მოვიწყინო, თორემ რამდენჯერაც მოვიწყინე, იმდენჯერ დეპრესია ავიკიდე (იცინის)!

— როთი ერთობი?

— სალომე ბაკურაძით ვერთობი; ეს ადამიანი — ჩემი თოჯინა, მეგობარი, მაგნიტოფონია... და საერთოდ, ყველაფერია! სალო ჩემი მუხტია — მართობს, მახალისებს, მარიობს... როცა კარგ ხსიათზე გართორივე, ათასგარ სისულელეს ჩავდივართ. მაგალითად, შეგვიძლია, აეროპორტში წავიდეთ და სრულიად უცხო ადამიანს დავხვდეთ, მოვიკითხოთ, ბარგი მანქანამდე მივატანინოთ... შემდეგ ვუთხრათ — უიმე, შეგვემალეთ-თქო და იქიდან ავორთქლდეთ (იცინის)...

— ფათერაკიც ხშირად გადაგხდენია თავს?

— როცა ბარმენები მცნობენ, არ მახარებენ! ძალიან ბევრ სასმელს მისხამენ და მეც ვსვამ... ფულს არ მახდევინებენ და მერე ვიხვენები, — სირცევილია, ფულს დაგიტოვებთ-მეთქი... თან, სიმთვრალეში ბოდიალა ვარ, მოვიცლი ხოლმე ბეგობრებს. ხხლა ვცდილობ, ალარ დავლიო, დიეტაზე ვარ და უკვე 6 კილო დავიკელი; კიდევ 3 კილოს დაკლება მინდა, პატარა ლიპი მეცაშთო. არადა, წინიბურა, საჭო და პერკულესი ყელში ამომივიდა, მაგრამ რას ვიზამ?! უურნალ „გზას“ პირობას ვაძლევ, რომ კიდევ დავიკლებ და მომდევნო ინტერვიუს გამხდარ ვახოსთან ჩანერთ (იცინის)!



ა. ბავშვებს კი გულწრფელად ვუყვარვარ!



„ახლა ოჯახისა და ჩემი საშინე მატი არავარი მაინტერესებს“...

„მემარვეენ დავით საგანელიძემ დაუღვახებელი მამაკაცის სტატუსით 50 წელი გაატარა. მის პირად ცხოვრებაზე ყოველთვის ბეჭრი იწერებოდა, ამბობს, რომ ზოგჯერ უხეშადაც ეროვნული. ახლახან დაქორწინდა და არც მის ქორწინებას ჩაუვლია მითქმა-მოთქმის გარეშე. რადგანაც აინტერესებთ, ვინ არის სოფო ფარცხალაძე? წყვილს შორის ასაკობრივი სხვაობა რამდენია? მათ კი ქალაქს ქორწებს თავი შმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გაარიდეს... ახლა თბილისში არიან. ჯვარიც დაინტერეს და ხელიც მოაწერეს. მათი სიყვარულის ამბავი კი ასე დაიწყო...

თაშუანი ქვინიქაში

დათო:

— რაჭაში მიწისძვრა რომ მოხდა, სასწრაფოდ რეგიონს მივაშურე, იქ 2 დღე დავრჩი, როგორი მდგომარეობაც იყო, მოგხესხებათ. იმ ადამიანების გაჭირვებას თან ცუდი ამინდიც დატოხვა. თბილისში რომ ვპრუნდებოდ, შევატყვე, რომ კარგად ვერ ვიყავი, ვცივდებოდი. ვიფიქრე, აფთიაქში შევალ, სახლში რამე წიაღის გავიყოლებ-მეთქი. მანქანიდან მოუნესრიგებული და რაჭის ტალახით „დამშვენებული“ გადავედი და ერთ-ერთ აფთიაქში შევედი. საშინელ ხასიათში ვიყავი, ვიღრინებოდი. იქ კი დამხვდა გოგონა, რომელმაც დიდი გულისურით მომისმინა და მირჩია, რომელი წიაღი მიმეღლო.

— სოფო, იცან, ვინც იყო?

— არა, იმ წუთში ვერ ვიცანი. ეს ჩემი პროფესიული მოვალეობა იყო.

დათო:

— მისმა გულისხმიერებას საოცრად მომისხილა. მეორე დღესვე სოფოს ტელეფონის ნომერი გავიგე და დავურუკე. ჩემთვის ამის გაკეთება ადვილი არ იყო, სრულიად უცნობი ადამიანისთვის უნდა ამესნა, ვინ ვიყავი, მაგრამ ჩემს თავმოყვარეობას გადავაბიჯე.

— ამდენ წვალებას, ხომ შეგძლიო, იმ აფთიაქში წამლის „საჭიდლად“ მეორე დღეს ისევ მისულიყვათ?

— შემძლო, მაგრამ დარევა ვამჯობინე მოვიმიზებუ, ვითომ რაღაც პრეპარატზე ინფორმაცია მინდოდა. თან შევახსენე, მე თქვენთან აფთიაქში გუშინაც ვიყავი-მეთქი. სახელი გაისხნა, ბატონო დათო, თქვენ ბრძანდებითო? ჩემი გვარი არ იცოდა.

— სოფო, ვერ მიხვდი, რომ გატყუებდა?

— არა, მაშინ ამას ვერც ვიფიქრებდი, თან სერიოზულად მევითხებოდა, რომელი პრეპარატით ჩანაცვლება შეიძლება და ა.შ.

დათო:

— მხოლოდ იმ პრეპარატზე არ

გვილაპარავია, ძალიან მინდა შეგხვდე, თუ წინააღმდეგი არ იქნები, ვამეგობროთ, სადმე სიამოვნებით დაგპატიუებ-მეთქი. მეორე დღეს ერთ-მანეთს შევხვდით...

— სად დაპატიუეთ?

— ძველ თბილისში მდეპარე ერთ-ერთ „სტეკ-პაუში“.

— იმ დღის შემდეგ ხშირად ხვდებოდით?

— თითქმის ყოველდღე; როგორც მოვახერხებდით, ნახევარი საათით მაინც ვხვდებოდით. ერთმანეთს ძალიან კარგად გავუგეთ. სოფომ ჩემი პოლიტიკური იცოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი ბებია ჩემი დიდი გულშემატკიცარი ყოფილა. ხუმრობით ვუთხარ, ბებიაშეს გადასარევი გემოვნება ჰქონია-მეთქი.

— სოფოს გულის მონადირება ადვილი აღმოჩნდა?

— ნამდვილად არ მინადირია. არ მინდოდა, რომ გავლენის ქვეშ მომექცია, ილუზიები შემექმნა. შასთან ურთიერთობაში ისეთი ვიყავი, როგორიც ცხოვრებაში ვარ. სოფოს-აც ზუსტად ასეთი მოვნილე. თავადაც ძალიან ბუნებრივია, არ თამაშობს და ჩემთვის ეს არის მნიშვნელოვანი. ასე რომ, საგმირო საქმები არ ჩამიღენია, არც ყვავილების თაიგული დამიმაღას ზურგს უკან. სიურპრიზებითაც არ გაიმინებია-მეთქი, რაც არ გამიკეთებია, ვერ დავიბრალებ.

— სიყვარული როგორ აუხსენით?

— (იცინის) რაღაც მინდა გითხრა, მაგრამ არ ვიცი, როგორ გითხრა-მეთქი. ვიცი, რაც უნდა მითხრაო და გაიცინა. მაშინ ჩემთვის შენი პასუხიც გასაგებია-მეთქი და...

— თქვენ შორის სერიოზული ასაკობრივი სხვაობა — 30 წელი...

— (მანყვეტინებს) გეთანხმებით, მაგრამ ეს ჩემს ურთიერთობაში არ იგრძნობა. ჩვენ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ერთნაირი შეხედულებები გვაქს და დაბადების მონაბაში ვის რა თარიღი უწერია, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს.



— სოფოს დედას ქალიშვილის ხელი სთხოვეთ?

— ამას ოფიციალური სახე არ ჰქონია, სოფოს ახალგაზრდა დედა ჰყავს; მამა კი, 4 წლის იყო, როცა გარდაცვალა...

— როგორც ვიცი, სიდედრო თქვენზე უმცროსია...

— მარიკა 38 წლის არის. ძალიან კარგი ადამიანია. სოფოს ერთი და ჰყავს, რომელსაც დიდ პატივს ვცემ და ვაფასებ. წუხელ გვიან ღამით სოფოს ტელეფონზე შეტყობინება მოვიდა. ჩვენ ერთმანეთის მესიჯებს არ ვიკითხულობთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მან ტელეფონი თავად მომაწოდა, დედამისი წერდა: ახლა შენი და ზის და ტირის, სოფო მენატრებაო. დავურევა და ვუთხარი, რა გატირებას მოვინებია-მეთქი, არც ყვავილების თაიგული დამიმაღას ზურგს უკან. სიურპრიზებითაც არ გაიმინებია-მეთქი, რაც არ გამიკეთებია, ვერ დავიბრალებ.

— სოფო, სხვადასხვა დროს დათო საგანელიძის სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ, ჭორი არაერთხელ გაფრცელებულა. მისი წარსულით არ დაინტერესდა?

— დათომ საკუთარი წარსულის შესახებ ყველაფერი თავად მიამბო. მთელ თავის ცხოვრებაზე მომიყვა, დეტალებს არ ჩავღრმავებიგარ, მაგრამ რაც მაინტერესებდა და მეუღლებ



მეუღლის შესახებ უნდა იცოდეს, ყველაფერი მიამბო. მისი გულახდილობითაც მოვიხიბლე.

დათო:

— ცხოვრებაში რალაც ეტაპი დასრულდა. საერთოდ, ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნის ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი. მიმაჩინა, რომ გოგონა 20-25 წლის, ხოლო მამაკაცი 30-35 წლის ასაკში უნდა დაქორწინდეს. რა თქმა უნდა, დავაგვიანე, მაგრამ თავისუფლებაში გარკვეული თვისებებიც შემძინა. ახლა ოჯახის, შვილების, ჩემი საქმისა და პროფესიის მეტი აღარაფერი მაინტერესებს.

— როგორ მეუღლე ხართ?

ბას, დაუსწრებლად იცნობდა. პირველად გია ჯავრიშვილი და მამუკა ხაზარაძე გაიცნო. გიამ ჩემის სამეგობროზე სამოყვარულო კამერით ფილმი გადაიღო. ერთ დღეს დამირეკა და მითხოვა, მე და მამუკა შენთან მოსვლას ვაპირებთ, ფილმი ერთად ვნახოთ. იმ დროს სოფოსთან ერთად ვიყავი, ვთხოვე, სახლში გამომყოლოდა და მეგობრების გამასპანძლებაში დამხმარებოდა. მამუკას და გიას გაცნობის შემდეგ, ჩემი პარტიული მეგობრებიც გავაცანი. ეს უკვე თეატრში ერთ-ერთი სპექტაკლის ნახვის დროს მოხდა. აღმოჩნდა, რომ ისინი უფრო დელავდნენ, ვიდრე — სოფო.

აზრი ვიცოდი, არ მესმის, გვარს რატომ იცვლიანო. იქ კი, ჩემდა გასაკვირად განაცხადა, მეუღლის გვარზე გადავალო. ასე რომ, სოფო საგანელიძის დებადა.

სოფო:

— არ ვიცი, ასე რატომ მოვიქეცი, იმ წუთში მომინდა, რომ საგანელიძის გავმხდარიყავი.

დათო:

— ქორწილი ძალიან ვიწრო წრეში გადავიხადეთ. ყველას ბოდიშს ვუხდი, ვინც ვერ დავატიქუე...

მეჯვარეები ვინ იყვნენ?

— ჩემი მეჯვარეები დათო გამირელიძე და კახა ხაზარაძე იყვნენ.

სოფო, თეატრი კაბა შევა?

— კრემისცერი კაბა შევარჩიე, სადედოფლო კი არა, ჩემულებრივი საღამოს კაბა იყო.

— დედამთილს როგორ მიმართავ?

დედას ვეძახი.

— მარიკას (ჩემს სიდედრს) ვუთხარი, სოფო დედაჩემის თუ დედს ეძახის, მეც ასე რატომ არ უნდა მოგმართო-მეტე? არაო, — იურა. მაშინ მარიკა დეიდას დაგიძახებ-მეტე.

— ბოლოს და ბოლოს, შეთანხმდით?

— მარიკას ვეძახი. სიმართლე გითხრათ, დღეს ცოტა მძიმე მდგომარეობაში ვარ. დედაჩემი და სოფო ისე დამეგობრდნენ, რამეზე თუ წავიტარობულენ, ორმაგი ძალებით მიტევენ. მათ ჩემი ძმაც თავისი ოჯახით ემატება, რომელიც ამავე სადარბაზოში ცხოვრობს და ცოტა დავიჩაგრე...

— სოფო, შემა მეგობრებმა დათო როგორ მიიღეს? თქვენ სტუმრები რამდენად ხშირად ართან?

— დათო ძალიან შეუყვარდათ და ხშირადაც გასტუმრობენ.

— როგორც ვიცი, წარმოშობით ხორციან ხარ.

— დიახ, მე-8 კლასამდე ხონში ეცხოვრობდი. შემდეგ ოჯახით თბილისში გადმივედით.

დათო:

— უკვე ხონში სტუმრობაც მოვასწარით. ერთი დღე სოფოს ერთ ბებიასთან გავატარე, მეორე დღე — მეორე ბებიასთან. ძალიან თბილოდა, მეც და სოფოსაც ზღვა ძალიან გვიყერას.

ჯვარი დაიწერეთ?

დაიახ.



განსაკუთრებით რომლები?

— ფიქრია და მანანა ნაჭებია. რა თქმა უნდა, აქცენტი ისევ ჩემი ასაკობრივი სხვაობის გამო კეთდებოდა. როცა ჩემი სიყვარულის ამბავი ფართო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ჩემს ტელეფონზე ზარები არ წყდებოდა. ყველას აინტერესებდა, ვინ იყო სოფო, როგორ გავიცანი და ა.შ.

— და თქვენც ამ მითქმა-მოთქმას თავი გაარიდეთ და საქორნინი მოგზაურობაში წანებდთ, არა?

— 16 დღე ხელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ანტალიასთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ კურორტზე გავატარეთ. ოჯახის წევრებმა გაგვაცილეს. მართალია, გვიანი შემოღვდგომა იყო, მაგრამ იქ მაინც ძალიან თბილოდა, მეც და სოფოსაც ზღვა ძალიან გვიყერას.

ჯვარი დაიწერეთ?

— დიახ. ჯვარი 22 ნოემბერს ტერელის სახელობის ეკლესიაში დავიწერეთ. იმავე დღეს ხელიც მოვაწერეთ. მმაჩის ბიუროში ხელს რომ ვაწერდით, ბუნებრივია, სოფოს დაუსვეს კითხვა, მეუღლის გვარზე ხომ არ გადასვალთო? ამ თემაზე მანამდე მე და სოფოსაც გვჭონდა საუბარი, მისი

სოფო:

— რაჭა მართლა ძალიან მომენტანა, ჩემი სახლიდან ულამაზესი ხედია. იქ პირველად ვიყავი.

ბედნერებას გისურვებთ!

გმადლობთ.

■



ლიკა ევგენიძის პოზია და მისა გდინარაძის მარადიული მუზა ანუ საინტერესო ექსპერიმენტის საფინალო კორდი

ლიკა ფასია

ლიკა ევგენიძე შემოქმედის ოჯახში დაიბადა... თავადაც შემოქმედია. საოცრად ღრმა და ფილოსოფიურ ლექსებს წერს... რამდენიმე წლის წინ, მის პოზიას ნიჭირი მიშა მდინარაძე გაუცნო და მასზე მუსიკის შექმნის იდეა გაუჩნდა. ლიკას პოზია ლაბაზად შეერწყა მიშას მუსიკას და საინტერესო ექსპერიმენტი გამოუვიდათ. ცოტა ხანში პროექტის პრეზენტაციასაც გვემოვნო. მათი ექსპერიმენტი ლიკას მამას — დათო ევგენიძესაც მოსწონს და მათ გულშემატკიცრობს. ლიკას ეტულლეც — ნიკა ალასანიაც გულშემატკიცრობს, რაგანაც ძალან მოსწონს მისი შემოქმედება და ყველანაირად ხელს უწყობს, მხარში უდგას... შეგახსენებით, რომ ისინი ახალდაქორწინებულები არიან.

ერთმანეთი საერთო მეგობრების წრეში გაიცნეს... მათ შორის გრძნობაც გაჩნდა და მალე ოჯახიც შექმნეს. ლიკა სულც არ დაუბრკოლებია იმას, რომ მისი მეუღლე პრეზენტ საკაშილის ბიძაშილია: როდესაც ხედებით, რომ ის ადამიინი შენია, უკვე მნიშვნელობა არა აქვს, სხვა გარემოებებსო, — ამბობს იგი. თუმცა ამჯერად ლიკას ჩვენს რუბრიკაში შემოქმედებით საკითხებზე უფრო მოუზია საუბარმა, ვიდრე პირადულზე, რადგანაც მისი თანამოსატრე მიშა მდინარაძე გახლდათ. ას რომ, ერთმანეთის პირისპირ საინტერესო ექსპერიმენტის ორი მოთავე აღმოჩნდა.

ქარნელისტი — მიზა მდინარეები — ლიკა ევგენიძა

— მოდი, მკითხველს მოუყენო იმის შესახებ, თუ როგორ მოხვედი აქამდე?

— დავიბადე თბილისში, დავამთავრე სკოლა და სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგახსნილ ფერწერის ფაკულტეტზე ჩავაბარე. შემდეგ მიგვდი, რომ იქ სწავლა არ მინდოდა, რომ ხატვა ჩემთვის ყოველთვის ჰიპერი იქნებოდა. მოგვიანებით კი მამაჩემთან, მოსკოვში (ის უკვე იქ იყო) წავდი, სადაც „გიგში“, სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე... ცოტა ხანში მოსკოვში ისევ მივდივარ, დიპლომი უნდა დავიცვა... ჩემს ცხოვრებაში რაღაც ისე გარემოდა, მშობლები რომ არიგებენ ხოლმე შვილებს — ინსტი-



ტუტი დაამთავრე და მერე გათხოვდიო. ინსტიტუტი დავამთავრე და გავთხოვდი კიდეც. ოჯახში მეც ყველა მირჩევდა, ადრე არ გავთხოვილიყავი. არადა, ამას როცა მეუბნებოდნენ, რატომლაც მეგონა, რომ ყველა ჩემ წინააღმდეგ გამოდიოდა. დღეს კი ვხვდები, რომ სწორად მირჩევდნენ. 17 წლის ჩამოუალიბებელი ადამიანის გათხოვება მიზანშეწონილი არ არის...

— შენ უკვე დაამთავრე სამსახიობის ფაკულტეტი. როგორ გაორია, რამდენად სწორი არჩევან გააკეთე, როდესაც ეს პროფესია აირჩივ?

— ცხოვრებაში რამდენი რამ ცუადე, სულ ძიებაში ვიყვა... ხატვისას დიდ სიამოვნებას ვიღებ, მსახიობობაც სიამოვნებას მანიქებს ანუ როდესაც სცენაზე გამოვდივარ და რაღაცას ვთამაშობ, კარგად ვგრძნობ თაქს, მაგრამ ლექსის წერისას მიღებულ განცდებს არაფერი შეეძრება. ყველაფერი ბუნებრივად ხდება, მუზა თავისით მოდის...

— დათოს რა რეაქცია ჰქონდა, როდესაც მისი შეიღებიდან პროფესიულად ყველაზე ახლოს მასთან შენ აღმოჩნდი. რამდენად გეხმარება ასეთი მამის შეიღება ან პიროქთ, ხომ არ გირთულებს საქმეა?

— არ მომერიდება იმის თქმა, რომ მამა საოცრარი ნიჭის ბატრიონია, მაგრამ ადამიანსაც განანია: ვიღაც არის ისეთი ტიპი, რომ ამის გამო ჩრდილში ექცევა, ვიღაც — არა. ყველაფერი კიბლექსზე დამოკიდებული. მე ყველანაირი კომპლექსზე მას შემდეგ გავთავისუფლდი, რაც მოსკოვში წავდი. აქ უფრო დაძაბული ვიყავი. ალბათ ამაზე გარემოც მოქმედებს. აქ სახანაირი ხალხია. მიუხედავად იმი-

სა, რომ მოსკოვი უფრო ცივია, ვიდრე თბილისი, იქ რომ ჩავედი, თითქოს საკუთარი თავი სხვანაირად აღვიტვი და სხვანაირად გავიხსენი. ისე, ვფიქრობ, რომ მთავარი შენს თავთან გახსნაა, რადგანაც შემდეგ უკვე სალთან ურთიერთობაც აღარ გიჭირს...

— დათო ევგენიძე ჩემთვის ყველაზე ძვირად იმით არის, რომ შინაგანად თავისუფალი ადამიანია. რამდენად ჰგავთარ მამას ანუ ხარ თუ არა თავისუფალი?

— საკმაოდ თავისუფალი ვარ!.. გარკვეული შეზღუდვა, საკუთარი მორალიდან გამომდინარე, ყველა ადამიანს აქვს. ასე რომ, მე ჩემგან გამომდინარე ვზომავ და არა საზოგადოებიდან. საზოგადოებაში დამკიციდრებულ კლიშებს ყურადღებას დიდად არ ვაქცევ:

— ნამიკითხავს ბეჭრი ახალგაზრდა გოგონას პოზითა, მაგრამ არასოდეს მქონია ისეთი სერიოზული განცდა, როგორიც შენ ლექსების კითხვისა. მგონ, 23 წლის ახალგაზრდისთვის უცნაურია ემოციურად საოცრად დატვირთული ლექსების წერა. რა მოხდა შენს ცხოვრებაში ისეთი, რომ ასეთ ლექსებს ცერ? თუ ეს შენ გენეტიკური მესხიერების შედეგია?

— ყველაფერი მანც ჩემს ემოციურ მდგომარეობას უკავშირდება. საერთოდ, ემოციური ადამიანი ვარ. პოეზიაც ხომ ემოციურ მდგომარეობასა და განწყობილებაზეა დამკიციდრებული, შეიძლება, კონკრეტულ ამბებსა და შემთხვევებზეც. თუმცა მაქვს ისეთი ლექსები, რომლებიც რატომ დავწერ დალექცე ვერ ვსწნი.

— ლიკა, ცოტა ხნის წინ დაო-



ჯაჭდი ანუ შენს ცხოვრებაში ერთი ეტაპი დასრულდა და მეორე დაინტერ. როგორ ფიქრობ, ამ ეტაპზე შენ მუშა დაფრთხა თუ უფრო გაძლიერდა?

— ვერ გაიგხა... როდესაც მშვიდად ვარ და არაფერი მაწუხებს, ლექსი ნაკლებად „მეტერება“, ვიდრე მაშინ, როდესაც შინაგანად აფორიაქტული გახლვარ ხოლმე. ამიტომ ზოგჯერ ჩემს შვიდ შინაგან მდგომარეობას თვითონ ვარღვევ, ოღონდ მერე ეხუდები, რომ ამას ვაკეთებ. საკუთარ თავს საინტერესო და ექსტრემალურ სიტყუაციას ვუშენი ხოლმე. როგორც ჩანს, ეს მესაჭიროება, რადგან მოდუნებულ მდგომარეობაში ყოფნა არ შემიძლია.

— ნაშმატები მინდა გასურვი! ქართულისტი — ლიკა ვავაშვილი — რეალისტი — მავა მდინარეი

— ახლა შენ მითხარი, მუსიკაში როგორ მოხვედრო?

— მუსიკაში ყბა-სახის ქირურგიდან მოვედი... სამედიცინოში ჩაბარებაც უცრად გადაეწყვიტე. მისალებ გამოცდებამდე ძალიან მცირე დრო იყო დარჩენილი და ერთხელაც გავილვიძე და ვთქვი, სამედიცინოში ვაბარებ-მეტები. ეს განცხადება ჩემგან არავის გაცევირვებია, რადგანაც ოჯახი ძირითადად, ექიმებისგან შედგება. თუმცა მააჩემა მაინც მთხოვა, იქნებ დაფიქტდე, მოდი, ოპერაციაზე წაგიყვან და მერე გადაწყვიტეო.

— მავა ქართულგა?

— კი, ქირურგი-ტრავმატიკოლოგი. მართლაც, ერთ-ერთ ყველაზე რთულ ოპერაციაზე წამიყვანა. იქ იყო ისეთი სამწუთაონი მომწერი, როცა სახეზე ფერი გადამივიდა, მამაჩემს გაუხარდა: აი, ხომ ხედავო, — მაგრამ ყველაფერს მაინც გაფუქრები. და არც გადაწყვეტილება შემიცვლა. იმ მცირე დროში, რომელიც მისალებ გამოცდებამდე მოსამზადებლად მქონდა, მეცადინეობა დავიწყე, ბევრი სა-

განი მერნდა მოსამზადებელი,

მაგრამ სტრესულ სიტუაციაში ყველაფერი მაინც ვისწავლე და სამედიცინოზე მაინც ჩაბარე. ასე რომ, ჩემი ცხოვრების შვიდი წელი მედიცინის შემთხვევის შესაბამის გავაქს შესაბამისი დაფინანსება

— რას გულისხმობა?

— მამა ჩემთვის ექიმის ეტალონი იყო, რადგანაც მასოვს, მის ცხოვრებაში იყო ისეთი პერიოდები, როცა ის შინ საერთოდ ვერ მოდიოდა: 25-კაციან, პაციენტებით სავსე პლატს ვერ ტოვებდა. ყველას მისი ზორუნვა

სჭირდებოდა... როდესაც დავფიქტდე, მიგვედი, რომ ჩემი ცხოვრებიდან ბევრ დროს მამასავით, პაციენტებს ვერ ვეთმობდი... ის იყო სადისერტაციო თემა მქონდა აღებული და ჩემთან მაშინ მოვიდნენ: ლევან ჯავახიშვილი და აჩი ფურცელაძე, რომელთაც იდეა შემომთავაზეს: მოდი, რადიო „ფორტუნაში“ გადაცემა გავაკეთოთ. დავწერეთ პროექტი. სიმართლე გითხრა, არც მქონდა იმედი, რომ რამე გამოვიდოდა, მაგრამ გაგვიმართლა... მოკლედ, 2000 წელს სარულიად შემთხვევით, მოვებდი რადიოში. მანამდე კი, როგორც გითხარი, ჩემთვის ვიჯენი და ანატომიას ესტავლობდი... რადიოში მუშაობისას აბსოლუტურად შეიცვალა ჩემი ცხოვრება და საბოლოოდ მივებდი, რომ საქმე, რომელსაც იქ ვაკეთებდი, ძალიან მომწონდა და შემძლო, მისთვის მთელი ცხოვრება მიმედვნა... მართალია, ბევრი ტალღა გამოვიცვალე მაგრამ მას მერე რადიოში ვეუშაობ.... თუმცა ის გამოცდილება, რომელიც იმ დროს „ფორტუნაში“ მივიღე, ჩემთვის უზარმაზარი შენაძენი იყო.

— ახლა რომელ რადიოში მუშაობ?

— ორ რადიოსადგურში ვარ: „ომედის“ მუსიკალური რედაქტორი ვარ და „რადიოქალაქში“ მე და ლევან ჯავახიშვილი ერთობლივ პროექტზე ვმუშაობთ...

— მუსიკამდე როგორ მიხვედო?

— იმის მიუხედავად, რომ მუსიკალური განათლება არ მქონია, მუსიკასთან ჩემი ურთიერთობა ბავშვობიდან დაიწყო, როდესაც დედის (მუსიკოსია) ინიციატივით, პირველად სამხმოვანება „შევძლო“, ძალიან მომერინა... ჩემი ბავშვობის საუკეთესო წლებს ინსტრუმენტთან ვატარებდი. დაკვრა ჩემით ვისწავლე. დღეში 8-9 საათი, იმის ნაცვლად, რომ ეზოში მეთამსა, ინსტრუმენტს ვუჯეტი. ჩემით რაღაც 12 წლის ასაკ-

ში კი ელტონ ჯონის კომპოზიციების მოსმენაც დავიწყე. მისმა მუსიკაში დიდი იმპულსი მომცა... ასე რომ, მუსიკა სულ იყო ჩემს ცხოვრებში, მაგრამ არასადროს მიფიქრია, რომ მუსიკის წერასაც დავიწყებდი... პირველი სიმღერა კარგად მახსოვეს — ნეკა სეპი-სკერაძემ და „ქუჩის ბიჭებმა“ რომ ჩანერებს, რომელსაც „თოლიები“ ერქვა...

— რა გავლენა აქვს სიყვარულ-სა და გრძნობებს შენს მუსიკაზე?

— აბსოლუტურად ყველა გარე-გამაღიზიანებული (დადებითიც და უარყოფითიც) ჩემთვის მუსიკა იქცევა. სიყვარული ერთ-ერთი ყველაზე მიმშენებული ფაქტორია. მუსიკა დამწერია დილის საარზე, დაისზეც, ასევე ბევრ ქალზე, გამიკეთებია მათი მუსიკალური პორტრეტები... ასე რომ, სულ შეყვარუბული ვარ, 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე. სულ ამ „სტრესის“ ქვეშ ვიმყოფები...

— როგორ ფიქრობ, ჩენი ექ-პრომტური გამართლება?

— მოხდა ჩემთვის სასისიარული და საბეღინიერო რამ, შენ რომ გაგიცანი (მიშა ამ დროს მე მომიტრუნდა და ლიკას გაცნობის ამბეჭი მომიყენა. — აგრეთვის სარულიად შემთხვევით, ლიკა ვეგნიძე „მაი სპეისზე“ ვიპოვე, ვიჭიჭვე, რომ ის შეიძლებოდა, დათოს შეიღი ყოფილიყო და დავვერტატებული. ჩემი ეჭვი გამართლდა... ლიკა მაშინ უკვე მოსკოვში იყო. შემდეგ დავმეგობრდით კიდევ და მან თავისი ლექსები გამომიგზანა, როდესაც ლექსები წავიკითხე, გავოცდი. ვერ ვიჯერებდი, რომ ასეთი პატარა გოგო ასეთ ლრმაშინარსიან ლექსებს წერდა... ბევრი ფიქრისა და მსჯელობის შემდეგ მივხვდი, რომ საინტერესო იქნებოდა, ამ ლექსებზე მუსიკის დაწერა. ასეთი გამოცდილება რატი ამაღლობებულთან მქონდა. ისე კი, ძალიან მომზონს პოეზიისა და მუსიკის შერწყმა. ლექსი და ნოტი ერთმანეთს უხდება და აგებს. საინტერესოა ისიც, რომ

ლიკას ლექსები იწერება რუსულ ენაზე. საოცრად ლრმა და საინტერესო პოეზიაა. ახლა კი მის 9 ლექსზე კომპოზიციები გავკვეთ. რაც მთავარია, ჩვენი პროექტი უკვე არ მომდევ და დავდევ მივხვდი, რომ საინტერესო იქნებოდა, ამ ლექსებზე მუსიკის დაწერა. ასეთი გამოცდილება რატი ამაღლობებულთან მქონდა. ისე კი, ძალიან მომზონს პოეზიისა და მუსიკის შერწყმა. ლექსი და ნოტი ერთმანეთს უხდება და აგებს. საინტერესოა ისიც, რომ



პროექტის დღე
დარბაზში წარდგენა
სიყიძობა, სამწუხაოობა
გვაქს შესაბამისი
დაფინანსება

ამისთვის შესაბამისი ფინანსები და დაინტერესებაც, მაშინ პროექტი მასშტაბურ ხასიათსაც მიიღებს.

— (ლიკა ჩავრთო) გვაქვს იდეა, რომ წიგნი და დისკი ერთდღოულად გამოვუშვათ. გაყიდვით და შემოსული თანხა საქეულმოქმედო საქმეს მოვახმაროთ... ისე, იმის გამო, რომ ლექსებს რუსულად ვწერ, ზოგჯერ პროტესტი უწინდება, მაგრამ რუსეთის მიმართ პროტესტი სხვა რამ არის და ხელოვნება — სხვა. მას საზღვრები არა აქვს. მნიშვნელობა არ აქვს, რა ენთ გადმოსცემ სათქმელს, რადგანაც ეს უკვე ხელოვნებაა. ჩემთან მუზა რუსულად მოვიდა. თუ რატომ, ამას ვერ აგხსინ. ვიყავი მოსკოვში, პირველი ლექსი რუსულად „დამეწერა“ და მას მერე რუსულად ვწერ... თუმცა ბავშვობაში მოთხოვობებს კი ვწერდი ქართულად.

— აგვისტოს ომის შემდეგ მეც საოცარი განწყობილება მქონდა რუსეთისა და, სხვათა შორის, რუსული კულტურის მიმართ. იმდენად დათრგუნვილი ვიყავი, რომ არაფერი რუსული აღარ მინდოდა. ომის შემდგომ საშინელი განწყობილება მქონდა. მერე გავანალიზე, რომ ხელოვნება სხვა სამყაროა და ის პოლიტიკისგან და ადამიანური ტკივილებისგან დამოუკიდებლად არსებობს...

— ომის დროს თბილისში ვიმუოფებოდი; იქ რომ ჩავედი, ადამიანებისგან იმდენად სხვანაირი დამოკიდებულება დამზღვდა, გაფოცდი. არადა, აქედან საჩიუბრად გამზადებული მივდიოდი... ბევრისაგან მესმოდა ფრაზები: — გზრცხვინა, რომ რუსები ვართ... პატივს მე რუსების იმ ნაწილს ვცემ, ვინც გვერდით დამიდგა. თორებ პუტინსა და მისი ხელისუფლების მიმართ ჩიზლი არასდროს გამინელდება...

— შენი მეუღლე როგორ აფასებს შენს ამ ნაბიჯს?

— ძალან მოსწოს და ხელს მიწყობს. სულ იმას მეუბნებოდა, — იქნებ ეს პროექტი რაღაცნაირად ბოლომდე მიიყვანოთ. ბედ-ჰიური ვარ, რომ გვერდით ისეთი ადამიანი მყავს, რომელსაც ესმის ეს ყველაფერი, თორებ რომელი იქნებოდა, სხვადასხვა ენაზე რომ გველაპარაკა. ის პროცესით რეალისტი ამერიკაში დაამთავრა სარეალისტი ფაკულტეტი. ახლა ნანა ჯორჯაძის ფილმის პრემიერა იყო და წეუშა იქ თამაშობს. სხვთა შორის, კარგი მსახიობია... მიშა, მოდი, დავასრულოთ ჩვენი საუბარი და ვისურვოთ, რომ დიდი ხის წინ დაწყებული საქმე წარმატებულად დაგვეგვირგვინებინოს. ■

„მე ხომ ეროვა მიდეა?“

ხშირია შემთხვევა, როდესაც აქტიური უურნალისტები პოლიტიკაში მიდიან. ასეთი გადაწყვეტილება ცოტა ხის წინ ტელეკომპანია „კავკასიის“ ყოფილმა წამყვანმა — ლიკა ნალებაშვილმაც მიიღო. ის მოძრაობის

— „ჩვენ თვითონ“ წევრი გაადა... „გზის“ მკითხველს ალბათ ახსოეს ლიკასთან რამდენიმე თვის წინ ჩანეროლი ინტერვიუ მან მაშინ ისცც კი გამიმზილა, რომ თბილისის მერობა სურდა და ამ მიზნის მისაღწევად, თავდაუზოგავად იშრომებდა...

ტალეკომპანია „კავკასიის“ უკრაინისტი პოლიტიკაში წავიდა



ლიკა ნალებაშვილი

ლიკა ნალებაშვილი:

— ჩვენი შევედრიდან ძალიან მალე ტელეკომპანია „კავკასიიდან“ წამოვედი. შევემენი სტუდია — „საბა“, სადაც მედიაპროექტებისა და პიარის განხილვით ვმუშაობ. თუმცა ცოტა ხნის წინ პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტე. მოძრაობის — „ჩვენ თვითონ“ პოლიტიკასაჭიროს წევრი გავხდი. ჯერჯერობით ვაპირებთ, საკრებულოს არჩევნებში მოვილოთ მონაწილეობა... ახლა გეტყვი, თუ რატომ წავედი პოლიტიკაში: უურნალისტიკაში 9 წლის განმავლობაში ვიმუშავე; რა თემებსაც ვაშუქებდი, იქიდან ფაქტობრივად, უმრავლესობა გადაუწყვეტილი რჩებოდა. ამიტომ ვიყიდრე, პოლიტიკაში გადამნაცვლა და პოლიტიკების გადაფრა თავად მეცადა... ისიც იცი, რომ ჩემი მთავარი მიზანი — თბილისის მერობა...

— ეს იგი, მერობა ისევ გინდა და არ გადაგიფიქრება?

— დიახ, მინდა და ამ გეგმის განხილვისაც საქმე წარმატებულად მივდივარ. რასაკვირველია, მერი

უცბად ვერ გავხდები... მინდა, არჩეული მერი ვიყო და მანამდე — მერობის ისეთი კანდიდატი, რომელსაც თბილისელების ნდობის მანდატი ექნება, ამასთან, ნდობას რომ გამართლებს — ადამიანების პრობლემებს მოაგვარებს. იმედია, ამას მოვახერხებ. თუმცა ეს ადვილი არ არის. ეს-ეს არის, პოლიტიკაში გადაჭინაცვლე და უკვე ბევრ პრობლემას შევეჯახე... დღეს ტელევიზიებს ადამიანების პრობლემები არ აინტერესებთ...

პოლიტიკოსობა ძნელია?

— რა თქმა უნდა და განსაკუთრებით მაშინ, როცა გინდა, ადამიანს ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრაში დაეხმარო და ვერ ახერხებ. თუმცა არც მედიაში მუშაობაა ადვილი.

უურნალისტური გამოცდილება პოლიტიკოსობას გაიდვილებს?

— იმედი მაქვს, რომ დამემარება. თუნდაც იმიტომ, რომ ამ სფეროში ბევრი ჩემი თანატოლია. მათ შორის ისეთებიც არიან, ვისაც რამის გადაწყვეტა ხელვიფება.

ლუკა, მინცდამანც მოძრაობის

— „ჩვენ თვითონ“ წევრი რატომ გახდი?

— ამისთვის რამდენიმე მიზეზი მქონდა. პირველი ისაა, რომ ამ მოძრაობის მთავარი ამოცანა — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ეს ამოცანა ხომ ყველა პარტიას აქვს!

შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ თუ რძალ-დედამთილი ერთად არ იცხოვრებს, ყველაფერი სხვაგვარად იქნება, მაგრამ ეს მცდარი აზრია.

ჩემი ერთი პაციენტი, რომელიც სულ რამდენიმე თვის გათხოვილი იყო, ამბობდა, რომ ქმარი სამსახურიდან სულ გვიან ბრუნდებოდა. როდესაც მას მობილურზე ურეკავდა და ეკითხებოდა, სად იყო, ის პასუხობდა — სახლში. — აბა, მე სად ვარ? — გაოცებული ეკითხებოდა ცოლი. ამაზე მამაკაცი მრავალმიზნებონად დუმდა და პასუხობდა: — ცოტა ხანს კიდევ დავრჩები დედასთან და მოვალ. მათი ქორწინება 6 თვის შემდეგ განკორწინებით დასრულდა.

ოჯახის დანგრევის შემდეგ ასე-თი ქალები ძალიან ფრთხილობენ

და მამაკაცებს ეჭვის თვალით უყურებენ. დედები კი ვაჟებს ეუბნებიან: — აი, ხომ გეუბნებოდი, რომ ეს გოგო არ გამოგადგებოდა.

რას განიცდიან თავად „დედიკოს ბიჭები?“ მათ დედის მხრიდან მუდმივი კონტროლი და ზრუნვა ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. თანადათან ეგუებიან იმ აზრს, რომ ინფანტილურები არიან და დამოუკიდებლად ცხოვრება არ შეუძლიათ. დამოუკიდებლად ვერაფერს წყვეტის.

უამრავი ფაქტი არსებობს, როდესაც მარტოხელა დედის გაზრდილი ვაჟები წინააღმდეგობას გარეგულად არ გამოხატავენ. როდესაც დაქორწინდება, ცოლის სურვილებს დაემორჩილება, მაგრამ მის ზურგს უკან ისე ცხოვრობს, როგორც სურს. მან იცის, რომ ბრძოლას აზრი არ აქვს.

„დედიკოს ბიჭები“ ხშირად გარბიან ცოლისგან დედასთან, რადგან მიჩვეული არიან, რომ დედამ მომდევნო დღის ან კვირის განრიგი უნდა შეუდგინოს.

თუ ასეთი სიტუაციის შესახებ მხოლოდ სხვებისგან გსმენია, ბენიერი ქალი ყოფილხარ, ხოლო თუ ამ ჯადოსნურ წრეში მოხვდი, მხოლოდ თანაგრძნობის ლირსი ხარ. თუ აბლა აპირებს ასეთ მამაკაცზე გათხოვებას, მზად იყავი, რომ მაღლე მტრის სტატუსს მოგანიჭებენ. „დედიკოს ბიჭის“ „გადაკეთება“ შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ მას პატარაობიდანვე გარკვეული სქემის მიხედვით ზრდიდნენ.

თუ ბედმა ქმრად ასეთი მამაკაცი გარგუნა, აქტიური ბოზიცია უნდა დაიკავო და ეცადო, ქმარზე გავლენა იქონიო. მზად უნდა იყო დედამთილთან საბრძოლველად. ეცადე, მინისუბამდე დაიყვანო დედა-შვილის შესვედრები.





თუ თავად ხარ მარტოხელა დედა
და არ გინდა, შენი ვაჟი „დედიკოს
ბიჭად“ გადაიქცეს, გახსოვდეს, რომ
ის შენ ნინიშე ვალში არაა. ნუ მი-
იღებ გადაწყვეტილებებს მის ნაცვ-
ლად. უფლება მიეცი, თავად მარ-
თოს საკუთარი ცხოვრება. მერე რა,
თუ ბევრ შეცდომას დაუშვებს?! არც
ერთი ადამიანი სხვის შეცდომებზე
არ სწავლობს. თუ შეცდომა საკუ-
თარ ტყავზე არ იწვნია, ისე გამოც-
დილებას ვერ შეიძენს. გამოცდილება
კი ცხოვრებასთან ბრძოლისას გა-
მოადგება. მშობელს ყოველთვის
ჰგონია, რომ მან უკეთ იცის, რა
სჭირდება შვილს. გაიხსენე, როგორ
მიიღე ეს ცოდნა? დიახ, საკუთარ
შეცდომებზე დაყრდნობით! მიეცი
შვილს უფლება, თავისი
ცხოვრებით იცხოვროს.

თუ მისი შეყვარებული არ მოგწონს, გამოთქვი აზრი, მაგრამ ნუ მიუთითებ, როგორ მოიკცეს. როდესაც თავის შეცდომას მისვდება, მხოლოდ თანაუგრძნება არ არის საჭირო მორალის კითხვა და ჩიჩინი იმის შესახებ, რომ როდესაც მის შეყვარებულზე ნეგატიურ აზრს გამოთქვამდი, არ ცდებოდი. ნუ ეცდები, მამის როლიც მოირგო, მაინც არ გამოგივა.

გასაკვირია, მაგრამ რატომდღაც გოგონები არ ხდებიან ”დედიკოს გოგონები“. ამის მიზეზი დაუდგენელია. თუმცა, შესაძლოა, მსოფლიოში ამის მაგალითიც არსებობს, მაგრამ მხოლოდ ერთეული.

— გამარჯვობა, გრაფო.
ქმარს 2 ნელია, გაეშორ-
დი. ვიცი, რომ მას სხვა
ქალი ჰყავს. 4 ნლის შეკილი
გვყავს. ქმარი კვირაში
ორჯერ მოდის, ჩვენთან
ვახშობს და გოგონასთან
თამაშობს. ასეთ დროს
მგონია, რომ ყველაფერი
ძველებურადაა, რომ ის
ჩვენთან დარჩება, მაგრამ
ის მაინც მიდის. ეს მხ-
ოლოდ ილუზია?

— სურგილი გაქვთ, ქმარი დაგიბრუნდეთ და ყოველი მისი მოსვლა იმედს გაძლევთ. თუმცა, ის მიდის და იმედიც კვდება. როგორ უნდა მოიქცეთ ასეთ დროს? შეგიძლიათ, შვიდად აუხსნათ, როგორ ემოციას იწვევს თქვენში ყოველი მისი გამოჩენა და ერთად გადაწყვიტოთ, როგორ შექვდეს შვილს ისე, რომ შინ აღარ მოვიდეს. მას შეუძლია, ბაკვი რამდენიმე საათით სასეირნოდ წაიყვანოს ან როცა მოვა, თქვენ წახვიდეთ შინიდან. სასურველია, გარკვეული დრო ერთად აღარ ივახშმოთ. შეეცადეთ, ყოფილი ქმარი მიიჩნიოთ იმ ადამიანად, რომელთან ცხოვრებასაც ვერ შეძლებთ.


მეჩინულება და მეუბნება, რომ
დამოუკიდებლად საჭესთან ვე-
რასოდეს დავჯდები. თუ მაინც
გავრისკავ, მხოლოდ მარჯვენა
ზოლში უნდა ვიმოძრაო და ავ-
ტობუსს გავვევე უკან. ძალიან
მინდა მანქანის ყიდვა, მაგრამ
უკვე შევშინდი. ნუთუ მართლა
ვერ ვისტავლი ავტომობილის მარ-
თვას?

— თქვენი ძმის მსგავსი დამოკიდებულება ბევრ გამოყენების შემთხვევაში არ არის მიღება. მათ ავინაუზებათ, თვითონ როგორ ისწავლეს ავტომობილის მართვა. შეეცადეთ, აუსნაათ, რომ მის ჩეუბს ცუდი შედეგი მოაქვს. მოილაპარაკეთ, რომ მომდევნო 2-3 გაკვეთილის განმავლობაში ის მხოლოდ რეალურ შენიშვნებს მოგცემთ და აღარ გაყავრიტიკებთ. დაბოლოს, ყველაზე მთავარი — იმისათვის, რომ მანქანის მართვა ისწავლოთ, ყველაფრის მიუხედავად, აუცილებელია, ივარჯიშოთ. შეეცადეთ, მიხვდეთ, რა გიჭირთ ყველაზე მეტად და სწორედ იმ მიმართულებით იმუშავთ.

— 45 ଲେଣିଲେ ପାର ଦା 3
କ୍ଷେତ୍ରଗାନ୍ତରୁ ଶୁଭେତ୍ରସମ୍ବନ୍ଧାଦ ବ୍ୟାପାର
କୋଣମ୍ଭୁ, ଅଶାଳ୍ପାଦିଶ୍ଚଦା କ୍ଷାଲତାନ କ୍ଷାପ-
ଦା. ଆଶିର୍ବାଦ ଘର୍ଯ୍ୟମଦ୍ୟ ପ୍ରେର ମନ୍ତ୍ର-
ଶ୍ଵରାଗାନ୍ତ, ହିଙ୍କା କୋମ ଏରତାଦ 20
କ୍ଷେତ୍ର ପାଇଥାନାକ୍ଷେତ୍ରେ. ଅଛଳା ଏରତ
ମାମିକାପ୍ରାସ ମନ୍ତ୍ରକଣ୍ଠାଗାନ ଦା ମେତ୍ର
ମନ୍ତ୍ରମନ୍ଦିନୀ. ମାଗରାମ, ମେଶିନା, ମାନ୍ଦିନୀ
ଏବଂ ମିମାତ୍ରମନ୍ଦିନୀ. ଲାଲା ମିରନ୍ଦିନୀ?

— ოჯახიდან ქმრის წასვლა,
მით უმეტეს, თუ ერთ-
თად დიდხანს ცხოვრობ-
დით, ძალზე მტკივნეულია
და შესაძლოა,
ამის გამო რამდენიმე
წლიც კი ინერვიულ-
ოთ. ხშირად ქალები,
ისევე, როგორც მი-
ტოვებული მამაკაცები,
საკუთარ თავში იკვეტე-
ბიან. მიაჩინათ, რომ ცე-
ოვრება კარგს აღა-
რაფერს მოუტანს. თუ
თაყვანისმცემები გა-
მოგიჩნდათ, ხელი არ
უნდა ჰყრათ. მოვლენებ-
ის განვითარება თქვენ-
ზეა დამოკიდებული.
იმის გარანტიას ვერ-
ავინ მოგცემთ, რომ
თქვენი ურთიერთობა
ხანგრძლივი და იდე-
ალური იქნება, მაგრამ
იქნებ იღბალი ბედ-
ნიერების შანსს გა-
ძლევთ?





სამყარო

ყველა დროის სუარეალები და „დიდი ეპენელი“

სუპერმოდელს ყველგან ცნობენ. ის რეგულარულად ჩრდება პრიალა გამოცემების გარეკანებზე, მსხვილ ბრენდებთან თანამშრომლობს და მილიონებს შოულობს. მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსნოთ, თუ ვინ იყვნენ და როგორ გამოიყენებოდნენ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყველაზე ღამაზი ტოპმოდელები.

1960-იანი ბლები – ტვიგი

თავდაპირველად, შეგახსნებთ, რომ თვით ტერმინი — „სუპერმოდელი“ გასული საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდა, მაგრამ ამ კატეგორიის ქალები მანამდეც არსებოდნენ. სწორედ ერთ-ერთი მათგანი იყო ქალბატონი ტვიგი, რომელსაც წელს 60 წელი შეუსრულდა. ეს ქალი მოდის სამყაროს ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა, სწორედ მისით დაიწყო გამხდარი მოდელების ერა, რომელიც დღემდე წარმატებით გრძელდება. ტვიგიამდე კი, ძირთადად, მერილინ მონროსნაირი, დიდებული ფორმების მქონე მანდილოსნები იყვნენ მოდაში.

ლესლი ჰორბი (ასეთია ტვიგის ნამდვილი სახელი და გვარი) ინგლისელია. ის ლონდონის გარეუბანში დაიბადა. 16 წლისამ პირველი კონტრაქტი გააფორმა და ფსევდონიმი — Twiggy („ლერწამი“) აიღო.

169 სმ სიმაღლის, 80-55-80 პარამეტრების მქონე ტვიგი სულ რაღაც, 41 კგ-ს იწონიდა. 1966 წელს ის ინგლისში „წლის სახე“ გახდა, 1967 წლის მარტში კი საცხოვრებლად ნიუ-იორქში გადავიდა და მოდაში უნისექსის სტილის შემოტანით (ნაზი აღნაგობის მოკლეთმიანი ქალიშვილი პატარა ბიჭუნას უფრო მოგაგონებდათ), სუპერპოპულარულიც გახდა. „ტვიგის სტილი“ მარტო სიგამხდრე კი არა, მოკლედ შეკრეჭილი თმა, მინიკაბა, გრძელი წამწამი, ხასხასა ფერის ტანსაცმელი და აქსესუარებია ანუ ის

ლესლი ჰორბი



მლის ცნობილი ბრენდის — Marks & Spencer-ის სახე გახდა, ამჟამად კი სამარკო ნიშან Olay-ს სახეა, რომელსაც ჯერ კიდევ შორეულ 1985 წელს წარმოადგინდა.


1970-იანი ბლები – ბარბო ჰემინგუეი

მარგო ლუიზა ჰემინგუეი (1955-1996 წლები) ცნობილი მწერლის, ერნესტ ჰემინგუეის შვილიშვილია. ეს სახელი მას „შატო მარგოს“ ანუ იმ დღინის პატივსაცემად დაარქვეს, რომელსაც მისი მშობლები შვილის ჩასახვის ღამეს სვამდნენ.

მარგო მთელი ბავშვობა აიდაპოს შტატში (აშშ), ბაბუის ფერმაში გაატარა, მაგრამ სახელგანთქმული ბაბუის დისლექსიით შეჭირვებული შვილიშვილი მის ნაწარმოებებს საერთოდ არ იცნობდა.

ეფექტური გარეგნობისა და სიმაღლის (183 სმ) მარგო ჰემინგუეი ნარმატებული მოდელი გახდა. ის წლების მანილზე წარმოადგინდა ბრენდ Faberje-ს და Babe-ს პარფიუმის სახეც იყო და ეს თანამშრომლობა მოდელთან გაფორმებული პირველი ძალზე

ბარბო ჰემინგუეი



ტვიგის ხმირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მის მიერ დამკვიდრებულ სილამაზის „არაჯანსაღ“ სტანდარტებს აყოლილი ბევრი ქალი ლიმის შიშილით იყლავდა თავს, თავად მოდელს კი ასეთი ნაზი აღნაგობა თავად ბუნებამ უბოძა და მას დიეტა არასდროს დაუცაქს.

1970 წელს, პოპულარობით დაღლილმა ტვიგმა მოდის სამყაროდან კინობიზნესში გადაინაცვლა. სუპერმოდელი ორჯერ იყო გათხოვილი: პირველად 1977 წელს, ამერიკელ მსახიობ მაიკლ უიტნის გაცყვა ცოლად და გოგონა — კარლიც გაუჩინა. მაიკლს ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და 1983 წელს, გულის შეტევით გარდაიცვალა; 35 წლის ასაკში ტვიგი ხელმეორედ, მსახიობი ლოუსონზე გათხოვდა.

როგორც მოდელი, ტვიგი დღემდე პოპულარულია. 2005 წელს ის ტანსაც-



სეარმოდელები



ძვირად ღირებული — მილიონიანი კონტრაქტით გახლდათ გამყარებული. მარგო Vogue-ს, Elle-ს, Cosmopolitan-ის, Harper's Bazaar-ის გარეკანებზე ხშირად ჩნდებოდა, 1975 წლის 1-ელ სექტემბერს კი ამერიკულმა Vogue-მ ის „ნიუ-იორკის ახალ სუპერმოდელად“ გამოაცხადა. სამდელო ბიზნესში ესოდენ სერიოზული წარმატება მარგოს საკმაოდ ძირიადაც უჯდებოდა: ის გამუდმებით იცავდა ორგანიზმის გამომფიტველ დიეტებს, მძიმე ალკოჰოლიზმით, ბულეტით, ეპილეფსით იტანჯებოდა და წარკოტიკებსაც ეტანებოდა.

პოდიუმზე სერიოზული წარმატების შემდეგ, მოდელმა კინობიზნესშიც მოსინჯა ძალები, მაგრამ — სრულიად უშედეგოდ. მის კინონამუშევრებზე მსჯელობისას, კრიტიკოსებმა, „ქვაქვაზე აღარ დატოვეს“ და სახელგანთქმული მოდელი „უნგეშოდ წყალნალებულ“ მსახიობადაც მოიხსენიეს.

ორჯერ გათხოვილმა და განქორწინებულმა მარგო ჰემინგუეიმ 1990 წელს ალკოჰოლიზმისგან განუუნება გადაწყვიტა, მაგრამ ამ დაავადების პროცესი იმდენად შორს იყო წასული, რომ მის წინაშე მედიცინის სრულიად უძლური აღმოჩნდა. 1996 წლის ივლიში მსახიობმა საძილე წამლის დიდი დოზა მიიღო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დასრულა. ჰემინგუების გვარში ეს მეუთე თვითმკვლელობა იყო.

1980-იანი წლები – აია ჟარახი

ჯია მარი კარანჯი (1960-1986 წლები) 1980-იანი წლების ბოლო პერიოდის ამერიკელი ფოტომოდელია. მამამისი წარმოშობით იტალიელი იყო, დედას კი ისლანდიური და უელსური ფესვები ჰქონდა. ბევრი მიიჩნევს, რომ პირველი „სუპერმოდელი“ სწორედ კარანჯი იყო და სხვა მოდელებისგან, პირველ რიგში, გამოკვეთილად ვწიბონი გარეგნობით გამოიჩინეოდა.

კარანჯი ბისქესუალი გახლდათ. ის 13 წლის ასაკიდან ეთაყვანებოდა გოგონებს და სიყვარულის ნიშნად, მათ ლექსებსა და ყვავილებს უძლვიდა. ამასთან, სუპერმოდელი დევიდ ბოუის ფანიც იყო და მის ანდროგინურ (ქუჩურ) სტილს პაბაძვდა.


ჯია კარანჯიმ ფეშნ-ინდუსტრიის საუკეთესო ფოტოგრაფებთან მაღვევე დაიწყო მუშაობა. 1979-1982 წლებში მისი ფოტოები სისტემატურად ჩნდებოდა ამერიკულა, ფრანგული და იტალიური Vogue-ს, ასევე, Cosmopolitan-ის გარეკანებზე. მალე ჯია კოკაინს მიეძალა და მისი ესოდენ სწრაფად ამოსული ვარსკვლავი

წარმოთქვა. 1991 წელს, კრისტი ტერლინგტონმა, წელიწადში მხოლოდ 12 დღის მუშაობისთვის, Maybelline-თან 800 ათასდომარიანი კონტრაქტი გააფინანსდა. 4 წლის შემდეგ კი კლაუდია შიფერმა, მოდელად მუშაობით, 12 მილიონი დოლარი დაგროვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კეით მოსი, რომელმაც 2007 წელს Forbes-ის მიერ შედგენილ, ყველაზე მაღალანაზღაურებადი სუპერმოდელების სიაში მეორე ადგილი დაკავავა. გამხდარი და მინიატიურული (169 სმ) მოსი სახელგანთქმული „ექვეულის“ მაღალი და ტანადი მოდელების ფონზე, ერთგვარ „ანტისუპერმოდელადაც“ კი მოჩანდა. მოსი ხშირად ადარებდნენ ტანკერნარ ტვიგს, მაგრამ თავისი წინამორბედის ანდროგინული სტილისგან განსხვავებით, მოსის სტილს „ჰეროინიანი ბრწყინვალება“ შეარქეს. ამ სტილის თავისებურებები მქრქალი კანი, ამოდმებული თვალები და გადამეტებული სიგამზდრეა.

„კოკაინის კეითი“ სინამდვილეშიც არავანსაღად ცხოვრობდა: სვამდა, ეწეოდა და არც წარკოტიკებზე ამბობდა უარს. ცოტა ხნის წინ კი, იმ სკანდალური ფოტოს გამოქვეყნების შემდეგ საღამოდ მოსი ნარკოტიკს იღებს, სუპერმოდელთან თანამშრომლობაზე ბევრმა ცნობილმა ბრწყნდა საჯაროდ განაცხადა უარ.

კეით მოსმა უამრავ ტრენდს — მოკლე ჯინსის შორტს, ბალეტის ფეხსაცმელს, Vivienne Westwood-ის მეცნაბრულ ჩექმას, ჯინსის ვიწრო შარვალს (skinny jeans), უსახელოებო ზედატანებს, Alexander McQueen-ის თავისებალიან თავსაფრებს, Louis Vuitton-ის ლეოპარდის შარფებს, Balenciaga-ს ხელჩანთებსა და სხვა მრავალ ტენდენციას დაუდო სათავე.



დიდი ექვეული



1990-იანი წლები – დიდი კვასული

1990-იანი წლებიდან საინფორმაციო საშუალებები მოდელების ცხოვრებით დაინტერესდებონ, ყველაზე გავლენიანი და პოპულარული მოდელები — კლაუდია შიფერი, სინდი კროუფორდი, კეით მოსი, ლინდა ევანგელისტა, ნაომი ჰემპბერი და კრისტი ტერლინგტონი კი ე.წ. „დიდ ექვეულში“ (The Big Six) მოხვდნენ. 1990 წელს იტალიური წარმოშობის კანადელმა ტომშოდელმა — ლინდა ევანგელისტამ Vogue-სთვის მიცემულ ინტერვიუში მოდის ისტორიისთვის ნიშანდობლივად ქცეული ფრაზა: — 10 ათას დოლარზე ნაკლებად სანოლიდან არც კი წარმოვდგებიო, —

2000 წელი – შეზღუდვები

2000 წლის დასაწყისიდან განსაკუთრებით პოპულარული ბრაზილიელი ქალები — უზენა ბიუნდეზნი, ადრიანა ლიმა და ალესანდრა ამბროსიო გახდნენ. ეს ძირითადად, ქვედა საცვლების ამერიკულ ბრენდ Victoria's Secret-თან თანაბრომლობის წყალობით მოხდა. ახლახან, ერთერთ ინტერვიუში კლაუდია შიფერმა განაცხადა, რომ სუპერმოდელების ეპოქა დასრულდა. „სუპერმოდელად მაშინ მიიჩნევი, როცა მოელ მსოფლიოში, ყველა ურნალის გარეკანზე ჩნდები და ადამიანები გცნობენ, — განაცხადა კლაუდია. — ჩვენს დროში კი ეს პრატიკულად, შეუძლებელია, რადგან რეკლამის ინდუსტრია მეტისმეტადაა დაკავებული პოპვარსკვლავებითა და მსახიობებით. ისეთი სუპერმოდელები კი, როგორებიც ოდესლაც ჩვენ ვიყავით, უბრალოდ, აღარ არსებობენ!.. ვფიქრობ და იმედიც მაქსე, რომ ცვლილები მოხდება და ჰეროინულ პრენინვალებასა და ანორქესიზე კამათის შემდეგ, მოაბაში ისევ ჭეშმარიტი სილამაზე შემძვა“. კლაუდიას აზრით, დღესდღეობით სუპერმოდელის სტატუსთან მიახლოებული მხოლოდ და მხოლოდ უზენა ბიუნდეზნია ანუ „მის სახესა და სახელს კარგად იცნობებ“. ■

უზენა კაროლინ ბიუნდეზნი (1980 წ.), ურნალ Forbes-ის მტკიცებით, მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელია და გასართობი ინდუსტრიის ყველაზე მაღალანაზღაურებად ქალებს შორისაც (შე-16 ადგილი) ფიგურირებს. მისი ქონება დაახლოებით, 150 მილიონ დოლარია. ლამაზი და მაღალი (180 სმ) უზენა ძალიზე ტანკერნარიცა, შიუხედავად იმისა, რომ ტკბილეულის მოყვარულ ამ ლამაზმანს დიეტა არასდროს დაუავს. პრესაში მისი მკრდის გამოცგაცხოველებული კამათია. მართალია, ბიუნდეზნი ირწმუნება, — ბუნებრივად ლამაზი მკრდი მაქსო, მაგრამ ზოგიერთებს ის მაინც, სილიკონისა ჰგონიათ. ურნალ Elle-ს გამოკითხვით, უზენელის პრერაფერისტური ვარცხნილობა ქალებისთვის „ყველაზე სასურველი“ აღმოჩნდა.

დეკემბერში უზენა ბიუნდეზნი პირველ შეიღის ელიფება. ჩვენ კი ისღა დაგვიჩენია, თვალყური ვადევნოთ, შეძლებს თუ არა „მსოფლიოს უკანასკნელი სუპერმოდელი“ იდეალური ფორმების შენარჩუნებას და შიგადაშიგ, ისიც ვიმკითხაოთ, თუ ვინ გახდება სამოდელო ბიზნესის მომდევნო დიდი ვარსკვლავი... ■

სად და როგორ იმოსებიან ქართველები

თითქმის ყოველ სეზონზე წერთ ინტერვიუს ამა თუ იმ ცნობილ ნაკლებად ცნობილ დიზაინერთან, რომელიც მიმდინარე სეზონის მოდურ ტანსაცმელსა და აქსესუარზე ამახვილებენ ხოლმე ყურადღებას. ამამად გადავწყვიტეთ, არა რომელიმე დიზაინერი, არამედ ჩვეულებრივი ადამიანები, ამა თუ იმ მაღაზის კლიენტები ჩაგვენერა, რომელიც არა მარტო საკუთარ გემოვნებასა და სტილზე, არამედ მსოფლიო მოდის ტენდენციებზეც გვესაუბრებიან.

**„პატარა ზომის და ბრკუზის ტანსაცმელი
ასაკის დამალვაშიც მახარება“**

ნათია ქივიძე

თამურა ბუზალაძე, მყიდველი:

— საერთოდ, თავისუფალი სტილი რომ კომფორტულია, ამას ლაპარვეკი არ უნდა. ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, ისეთ ადგილებში მიწევს სიარული, სადაც სპორტულად ჩატანათ იქნება, მაგრამ ვერც იმას ვიტვი, რომ ძალიან კლასიკურად გამოვიყრები. ვცდილობ, ისეთი ტანსაცმელი ვყიდვო, რომელიც არც სპორტული იქნება და არც — ძალზე კლასიკური. სხვათა შორის, დახული და ჩაჩჩული ჯინსი ძალიან მომზონს, მაგრამ არ მიხდება.


ერ. მოდას არ მისდევ?

— მოდის ტენდენციებს შეძლებისადაგვარად ვითვალისწინებ. შესაძლოა, რომელიმე ფერი მოდაში იყოს, მაგრამ მე ის ფერი ან არ მომწონდეს, ან არ მიხდებოდეს. ასევე, ვერასდროს ჩავიცავა „ბუტილკას“ — მომწონს, მაგრამ არ მიხდება.

ამ მაღაზიაში რაიმე შეიძინე?

— აյ პალტოს ყვიდულობ, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მისაღებად ქევრი დრო დამჭირდა. ორი პალტო მომწონა და ჯერ მეგობარი მოვიყვანე, რომელსაც ვკითხე, რომელი ვიყიდო-მეტეი? დღეს კი დედას ისე ვთხოვე, გამოყოლოდა, რომ ძმაც გამომყავა (იცინის). ახლა, ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ კლასიკურ პალტოს შეიძინ. გამყიდველი ლამის გადავრიე და მკითხა კიდეც, — გათხოვილი ხარო? როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, „დამამშვიდა“: ვერც ვერასოდეს გათხოვდებინ (იცინის)!

შენთვის ტანსაცმლის ფასს თუ აქვს გადამწყვეტი



ჩნიშვნელობა?

— რასავირველია, ვცდილობ, ისეთ მაღაზიაში შევიდე, სადაც დაბალი ფასებია ან სულაც, ფასდაკლებაა. ერთ ამბავს მოგიყვიდით: ჩემმა მეგობარმა ვაგზლის ბაზრობაზე 230 ლარად შეიძინა პალტო. მოგვიანებით, ზუსტად ისეთივე პალტოს მაღაზიაში 200 ლარად, ლილოს ბაზრობაზე კი 170 ლარად ყიდდნენ. დაქალისთვის ეს არ მითქვამს. მეშინია, გული არ გაუსკდეს.

— მეორად მაღაზიაში თუ შეიძინა რამე?

— როგორ არა! საერთოდ, მეორადებში არ ვიქექები ხოლმე, მაგრამ ერთხელ, შორიდან დავინახე, რომ ერთ-ერთ ასეთ მაღაზიაში ძალიან ლამაზი, თეთრი მაისური ეკვიდა. რამდენიმე საათის შემდეგ იმ გზაზე ისევ ჩავიარე და როცა მაისური კვლავ დავინახე, ცდუნებას ვერ გაუსელი, ტრანსპორტიდან ჩამოვედი და ვიყიდე. ისეთი



თამურა
ბუზალაძე

რუბრიკა მოაზიადა
რესერვი დებარიებები



ფული და ხარისხი



ნინო
დვთისაერიძვილი

ლამაზი და ხარისხიანია, რომ ალბათ, მსგავსს ვერც ერთ მაღაზიაში ვერ ვიყიდდი. ჩემი არჩევანით კმაყოფილი ვარ.

რაც შეეხება აქსესუარებს?

— აქსესუარები ძალიან მიყვარს. განსაკუთრებით, შარფები მომწონს. აქამდე ნაზ და სადა სამკულს, ახლა კი მასიურებს ვიდულობს. თანაც, ადრე უპირატესობას ვერცხლს ვანიჭებდი, ამ ბოლო დროს კი თითქმის ყოველთვის, ოქროს სამკული მიკეთია. მგონი, უფრო ლამაზი და მოდურია.

ძირითადად, რა ფერს ტანსაცმელი გაცვა?

— ვგიუდები ნარინჯისფერზე. ის ყველა სეზონზე აქტუალურია და რაც მთავარია, ძალიან მიხდება.

თემო დათისაპირველი, მყიდველი:

— ჩემი სტილი კლასიკურ-თავისუფალია. სპორტული სამოსიც მაქვს, მაგრამ მათ ყოველდღიურად ვერ ვიცვამ. ვფიქრობ, იმის ჩატანა, რაც მოდაშია, ყოველთვის გამართლებული არაა. როცა რაღაცას ვყიდულობ, პირველ რიგში, იმაზე ვფიქრობ, მომიხდება თუ არა? თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ XIX საუკუნის კბასაც ჩავიკვეშ.

ახლა რას ყიდულობ?

— „დუტი“ ქურთულს. გარდა იმისა, რომ „დუტი“ ყოველთვის მოდაშია, თბილიც არის, კლასიკურ ტანსაცმელსაც უხდება და სპორტულსაც. თანაც, ეს ქურთუკი, წლევანდელი მოდის მიხედვით, ტყავითა გაფორმებული და ბერძეს საყელო აქვს. როგორც გამყიდველმა მითხრა, ნატურალური ბერძია.

ტანსაცმლის შესაძენად მხოლოდ მაღაზიებში დაძიხარ თუ ბაზრობაზეც?

— სადაც მომიხერხდება, იქ მივდივარ. მიმაჩინა, რომ ხარისხიანი ტრინისამოსის ყიდვა ბაზრობაზეც შეიძლება. ეგ კი არა, ერთი პერანგი

მაქვს, რომელიც მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაში ვიყიდება საკმაოდ იაფი დირდა, მაგრამ ძალიან ხარისხიანი აღმოჩნდა. თანაც, ისეთი ლამაზია, ყველა თვალს მაყოლებს.

— ძირითადად, რა ფერს ტამოს მოგწონს?

— იასამნისფერი და თეთრი მიყვარს, მაგრამ ზამთარში ძირითადად, შავ და ნაცრისფერ ტანსაცმელს ვიხდება.

იმ აღდგომელაპირი, მყიდველი:

— ვიცვამ იმას, რაც მიხდება. ამ ბოლო დროს ბრჭყვიალა ტანსაცმელი უფრო მომწონს. ჩემი გაბარიტებიდან გამომდინარე, ვცდილობ, პატარა ზომის ტანსაცმელი ჩავიცვა, უფრო გამხდარი რომ გამოვჩნდე. გარდა ამისა, პატარა ზომის და ბრჭყვიალა ტანსაცმელი ასაკის დამალვაშიც მეხმარება.

— უპირატესობას მაღაზიას ანაჭებ თუ ბაზრობას?

— ადრე ბაზრობაზეც ხშირად დავდიოდ, მაგრამ ახლა, სამსახური ამის საშუალებას არ მაღლებს... ვიცი, რომ ამ მაღაზიაში საბერძნებიდან ჩამოტანილ ტანისამოსს ყიდან და ამიტომ ხშირად აქ მოვდივარ.

— თურმე, ვაჭრები მეორად ტანსაცმელს რეცხვენ, აუთიოებენ, ზედ იარლის აკრავნ და მაღაზიებში ყიდიან...

— იმედი მაქვს, ჩემს გარდერობში ასეთი ტანსაცმელი არ არის. მეორად მაისურს ან კაბას ვერავრით ჩავიცვა! რომ გავიგო, ვწმებ მომატყუა, გავიციდები.

— რომელ ფერს ანაჭებ უპატიტესობას?

— იასამნისფერი მიყვარს, მაგრამ ძირითადად, მანც შავ ტანსაცმელს ვყიდულობ, უფრო გამხდარი რომ გამოვჩნდე.

ლანა აზციაური, კონსულტანტი:

— ჩემს მაღაზიაში გაცილებით იაფეთასიანი საქონელია, მაგრამ —



და აღდგომელაშვილი

მოდური. ყველას ურჩევნია, ბაზრობაზე, ხალხმრავალ ადგილებში ჭყლეტას, ჩვენთან მობრძანდეს და ცივილიზებულად ივაჭროს, თანაც — ბაზრობის ფასებში.

— ძირითადად, რა სტილის ტანსაცმელზე მოთხოვთ? თუ ცით, ნელს რა არის მოდაში?

— თავისუფალი სტილის ტანსაცმელი ყველა სეზონზე აქტუალურია. ჩვენი მომებარებლის 50% თინერებია და შესაბამისად, ავანგარდული სტილის ტანსაცმელიც კარგად გვეყიდება. ამ სეზონზე განსაკუთრებით მოდური ნაქსოვი ჟაკეტია. ასევე, ძალიან აქტუალურია ე.წ. ჩაჩები, ელასტიკი და შესაბამისად, გრძელი მასურიც არ კარგავს აქტუალობას.

— როგორც ხედავ, მამაკაცის ტანსაცმელიც გაქვთ.

— რა თემა უნდა, ჩატანა მამაკაცებსაც უყვართ. როგორც ცით, ნელს ფართოვანი ბიჭებიანი შარვალი, ე.წ. „მაკაროვკით“ ნაქსოვი პულვერი, ელასტიკებისაკურავიანი და ტყავით გაფორმებული ჟაკეტია მოდაში. საერთოდ, ტყავით განყობილი ტანსაცმელი ნელს ძალზე აქტუალურია.

— როგორც თევზო, თევზოთან ბაზრობის ფასებისა რამდენადაც გაცი, თევზონ ნაიარმი ხარისხით არ გამოიჩინა.

— ტანისამოსის ხარისხი მისი ფასის შესაბამისია...

თინათინ ზუპაპიშვილი, მეორადი ტანსაცმლის მაღაზიის თანამშრომელი:

— ჩვენ ძალიან ბევრი კლიენტი გვყავს. სხვათა შორის, აქ ზოგჯერ, საუცხოო რაღაცის ყიდვაც შეიძლება.

— როგორ ფიქრობთ, ამ სტილზე რა სტილის ტანსაცმელია უფრო მოდური?

— თავისუფალი სტილის. ხალხი ცდილობს, ისეთი რამ შეიძინოს, რაც ყოველდღიურად გამოადგება. ჩვენთან თინერებიც ხშირად შეიძლება. ნელს ძალიან მოდურია შარფებიც — მათ ნებისმიერი ასაკის ქალბატონი ყიდულობს.

— თევზოთან პალტოებსა და ჭურთუკებსაც ყიდულობენ?

— პალტოებს — იშვიათად, ძირითადად კი მოკლე ქურთუკებს ყიდულობენ. ჩვენი ბევრი მომხმარებელი ავტომანენაზით მოძრაობს და ისინი თხელ, მოდურ მოსაცმელს ანიჭებენ უპირატესობას.

— აუ თევზნ მდიდარი კლიენტებიც გვაგთ?

— რასაკირველია. ჩვენთან ტანსაცმელს მხოლოდ იმიტომ კი არ ყიდულობენ, რომ იაფია, არამედ იმიტომ, რომ ძალიან ხარისხიანია. თანაც, ჩვენთან ორი ერთიანი ტანსაცმელი თითქმის არასდროს იყიდება. ■



„მუსტანგის“ ძრავებს შეუცვლიან



კომპანია „ფორდი“ მომავალი თაობის კუპესთვის — Mustang — ძრავათ გამას შეცვლის და ძველ, 210 ც.ხ.ძ. სიმძლავრის, ბეზინის V6, 4-ლიტრიან აგრეგატს, ალუმინის 6-ცილინდრიანი, 3,7-ლიტრიანი, 305 ც.ხ.ძ. სიმძლავრის მოტორით ჩანაცვლებს. ძრავა ავტომატური 6-საფეხურიანი ან მექანიკური სიჩქარის გადაცემათა კოლოფით იმუშავებს. შეგახსნებთ, წინამორბედი „ექვსიანი“ 5-სიჩქარიანი ტრანსმისით იყო აგრეგატირებული. ახალი მოტორით დაკომპლექტებული Mustang-ის მექანიკური მაჩვენებლები ჯერჯერობით, უცნობია, ხოლო კომპანია „ფორდმა“ ამ ეტაპზე მხოლოდ ავტომობილის მიერ საწვავის ხარჯის შესახებ გაავრცელა ცნობა: მექანიკური სიჩქარის გადაცემათა კოლოფით, ქალაქის რეჟიმში, მანქანა 100 კმ მანძილზე 13 ლ ბენზინს მოიხმარს, ხოლო ტრასაზე — 8 ლიტრს. Ford Mustang-ი საჭის ელექტროგამაძლიერებლით, უფრო მძლავრი სამუხრუჭები მექანიზმებით, ახალი ხელსაწყოთა პანელით, გაუმჯობესებული ხმის იზოლაციით და მოდერნიზებული აეროდინამიკური ელემენტებით, მათ შორის, ძარას მცირედ შეცვლილი წინა ნაწილითა და უფრო მაღალი სპორტურით იქნება გამორჩეული. გარდა ამისა, 2010 წლის აგვისტოდან ავტომობილისთვის ახალი სპორტული პაკეტი, 19-დუიმიანი ბორბლების ფისკები და სპეციალური სპორტული რეჟიმის მქონე სტაბილიზაციის გადაწყობილი სისტემა იქნება გათვალისწინებული. ახალი მოტორის მქონე „მუსტანგის“ პრემიერა მიმდინარე კვირაში, ლოს-ანჯელესის მოტორშოუზე შედგება.



„აუდის“ ხუთყარიანი კუპე

კომპანია „აუდი“ მოსკოვის მოტორშოუზე, „დიდი ხუთყარიანი კუპეს“ — Audi A7 — პრემიერას მოაწყობს. პრეზენტაცია 2010 წლის აგვისტოში შედგება. ადრე გავრცელებულებული ინფორმაციის თანახმად, Audi A7-ის პრემიერა 2009 წელს, აზის ავტოსალონზე ან 2010 წლის იანვრში, დეტროიტის გამოფენაზე უნდა შემდგარიყო. არაა გამორიცხული, რომ A7-ის პრემიერა მომავალი წლის დასაწყისში მოეწყოს, ხოლო მოსკოვში ევროპული ბაზრისთვის განვითარილ ავტომობილს წარადგენენ. სავარაუდოდ, Audi A7, Audi A6-ის მოდერნიზებულ პლატფორმაზე აიწყობა და მას Quattro-ს სრულამძრავიანი საფირმო სასტემა დაუმონტაჟებულება. არაა გამორიცხული, რომ ტოპმოდიფიკირებული არა V8 დაუყენონ, რომლის დებიუტიც სედანზე — Audi A8 — შედგება. გარეგნულად Audi A7 ფოტა ხნის წინ წარმოდგენილი Audi A5 Sportback-ის მსახური იქნება — ეფექტური ფარებითა და ჩარჩოს გარეშე დამონტაჟებული გვერდითი მინებით, ხოლო მისი მთავარი კონკურენტები Mercedes-Benz CLS და BMW 5-Series GT იქნება.



ტიუნებირეაზებული Porsche 911 Turbo



ატელიებ — 9FF — Porsche 911 Turbo-ს შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის დებიუტიც ესენის ტიუნინგშოუზე შედგება. სერიული მოდელისგან, რომელიც 500-დან 650 ც.ხ.ძ. სიმძლავრემდევა ფორსირებული, 9F Speed9-ის სახელით ცნობილი სიახლე ოპოზიტური ძრავათი განსხვავდება. სიმძლავრის გაზრდა 9FF-ის სპეციალისტებმა ძრავის მართვის ბლოკის პროგრამის შეცვლით, ახალი საპარო ფილტრის დაყენებით, ტურბინების მოდერნიზებითა და სპორტული კატალიზატორის მქონე ახალი გამოშვები სისტემის მეშვეობით მოახერხეს. კბრიოლები 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,3 წმში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 330 კმ/სთ-ია. მოტორის გარდა, 9FF-ს ახალი სამუხრუჭები მექანიზმები და საფირმო ბორბლების დისკები დაუმონტაჟდება. აღსანიშნავია ისიც, რომ მანქანას უკანა სავარძლები არ ექნება. ასეთი ავტომობილი გრძელაში 239 ათასი ევრო ანუ სერიულ Porsche 911 Turbo-ზე ორჯერ მეტი ეღირება.

VW Polo პირველი

2010 წლის ევროპის ავტომობილურ ჰეჩბეკი VW Polo აღიარეს. ამ მანქანამ რეიტინგში უკან მოიტოვა Toyota IQ, Opel Astra და Skoda Yeti. მსხვილი ევროპული სავტომობილო გაძლიერების წარმომადგენელთა შორის შემდგარი კენჭისყრის შედეგი ასე გამოიყურება:

1. VW Polo (347 ქულა);
2. Toyota IQ (337);
3. Opel Astra (221);
4. Skoda Yeti (158);
5. Mercedes E-Klass (155);
6. Peugeot 3008 (144);
7. Citroen C3 Picasso (113).

კენჭისყრის წესების მიხედვით, ევროპის 22 ქვეყნის წარმომადგენელი 58 ქურნალისტიდან თითოეულს 25 ქულა, მინიმუმ 5, ავტომობილზე უნდა გადაენაწილებინა. ამავე დროს, ერთი მანქანის შეფასება მაქსიმუმ, 10 ქულით შეეძლოთ.



იცოდებაზოგად-გაერთიანებული
ქმრები

ერჩია ლურის

უბის ნიშნაკოდან:

1. ხაშმი ჭაბის ორთქლია.

2. „დაღმრთი“ და „ქანობი“ სინონიმებია.

3. ინდაურის ხმინობას კივევით ჰქონია.

4. ბუნებრივი მარგალიტის 90%-ს ჩინეთში მოიპოვება.

5. „არსენას ლეის“ ფალე წიგნად პირველად 1872 წელს გამოსცეს.

6. აბრაამ ლინკოლნის გასვენებისას, კატაფლუტი 16 ცხენი ჰქონია.

7. მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამომცხარი პურის ნახევარი ბუტერბროდებზე იხარჯება.

8. „დაზუჭე თვალები და ჩაპერე“, — ასეთი იყო ლური არმსტრონგის ცხოვრებისეული დევიზი.

9. პოლ ნიუმანს არ შეეძლო იმ ფილმების ყურება, რომელმაც თავად მონანილეობდა.

10. „კონკორდი“ პირველი სამოქალაქო ფრეიტორინაცია იყო, რომელმაც ბერითი ბარიერი გადალახა.

11. სამხრეთაფრიკული ფერმერები ალბინის ლომებს ამრაველებრ და მათ მსოფლიოს სხვადასხვა ზორაპრეზი ყიდიან.

12. მსოფლიოში ყველაზე მეტად დაბინძურებული პერი მექანიზმია. 21-მილიონიანი ქალაქის ქუჩებში ყოველდღე 3 მილიონი მანქანა გამოდის.

13. ნანგის კვერცხებიდან 31 გრადუსზე მარტინი იჩევანიან, 29 გრადუსზე ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე — მდედრები.

14. ირლანდიაში მძლოლებისათვის დაშეტყული ალფაპოლიტ თროპის ნორმა მსოფლიოში ყველაზე მაღალია.

15. ამერიკის ქალაქებში ხანძრის დროს, მოსახლეობა მეხანიკებთათვის ვედროებს ფანჯრიდან ყრიდა — ასეთი იყო კანონი.

16. თავის დროზე რუსეთის XVI პატრიარქი — კირილი ინიციატივით გამოივიდა, სასულიერო პირთათვის სამხედრო სამსახური სავალდებულო გამხდარიყო.

17. რომის წმინდა პეტრეს ტაძარი მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკლესია. მისი გუმბათი მიეკუთხეველოს დარკოექტურულია.

18. ჩვეულებრივ მობილურ ტელეფონს ქარხნაში 4 წეუთში აწყობენ. ლონდონში, სპეცეკვეთით დამზადებული ტელეფონის აწყობას 9 საათი სჭირდება და ასეთი ტელეფონი იძენივე ჯდება, რამდენიც ერთოთახიანი ბინა მოსკოვის მასლობლად. მისი აწყობისას, სხეულის მიერ გამომუშავებული სტატიკური მუხტის დასამიწოდებლად, ხელოსანს მაჯაზზე მავთული აქვს მიმაგრები.



მსოფლიოს საუკათასო ხილები

სიდების აგება უძველესი დროიდან დაიწყეს. მდინარესა და სრამზე გადასასვლელად, ხისა და თოვისგან დამზადებულ სიდებს იყენებდნენ, მოგვიანებით კი, ძველმა რომელებმა ბეტონის სიდების დამზადება ისწავლეს, რომელთა შორის ყველაზე გრძელი 70-მეტრიანი იყო. ზოგიერთმა უძველესმა სიდმა დღემდე მოაღწია.

მეტალის პირველი ხიდი 1779 წელს, ბრიტანეთში, მდინარე სევერზე ააგეს. არსებობს რამდენიმე სახეობის ხიდი: სარკინიგზო, სავტომობილო, მეტრობიდები, ფეხით მოსარულებათვის და კომბინირებული (სავტომობილო-სარკინიგზო). ხიდებს კონსტრუქციის მიხედვითაც გამოარჩევენ: არსებობს დაკადებული, თალვანი, გასახსნელი, პორტონისა და ა.შ.



ბოსფორის პირველი, დაკადებული ხიდი სტამბოლის აზიურ ნაწილს ევროპულთან აკავშირებს. იგი 1973 წელს, თურქეთის რესპუბლიკის 50 წლისათვათის დაკავშირებით ააგეს. ხიდი ფეხით მოსიარულებათვის დაკადებულია, რადგან ნინათ, თვითმკვლელობის მიზნით, ხიდიდან გადახტომა ხშირი იყო.

ასევე აღსანიშნავია: აკასიკაივის ყველაზე მაღალი დაკიდებული ხიდი, რომელიც იაპონიაში მდებარეობს (მისი სიგრძე 3911 მეტრია); ბირმის 2-კილომეტრიანი ხის ხიდი; სურგუტის ხიდი და 36-კმ-იანი ტრანსკოვანური ხიდი, რომელიც 2008 წლის 1-ელმაისას ააგეს.

თვითმკვლელობის გარდა, ხიდებზე უბედური შემთხვევები და ტერორისტული აქტებიც ხდება. 1297 წელს, ბრიტანეთში ბრძოლის დროს, სტირლინგის ხიდმა ხალხის მასას ველარგულო და ჩაინგრა. ასევე გადატევირთვის საფუძვლზე დაინგრა იარმუტის ხიდი (ბრიტანეთი, 1845 წელი) და ვერცხლის ხიდი (აშშ, 1967 წელი). ხიდის დანგრევის მიზნით სტიქიური მოკლებებიც შეძლება გახდეს. 1879 წელს, ქლიერი შტორმის შედეგად, დანდის ხიდამბა ნაიდნები ბრიტანეთში, ბრიტანიული ბრძოლის დროს, ინდოეთში საფუძვლებას აფეთქებას 130 ადამიანი ემსხვერპლა.

საუკათასო ნაგებობები

„ოქროს კარიბჭე“ სან-ფრანცისკოში (აშშ) მდგრადებობს და ქალაქის სიმპოლოცა. იგი დაკადებული ხიდებს მიეცუთვნება. მისი სერით სიგრძე 1970 მეტრია. მას „თვითმკვლელთა ხიდსაც“ უწოდებენ, რადგან იქდან გადახტომით ბევრ ადამიანს მოუკლავს თავი.

„ტაუერ ბრიჯი“ გასახსნელი ხიდია. იგი ლონდონში, მდინარე თემზის ორ ნაპირს აერთიანებს. ხიდი 1883 წელს ააგეს.

ბრუკლინის ხიდი, რომელიც 1883 წელს ააგეს, დაკადებული ხიდებს შორის უძველესია. იგი ნიუ-იორკის რაიონებს — ბრუკლინსა და მანჰეტენს აკავშირებს.

ვენეციის „ოხვირის ხიდი“ დოჟების სასახლეს ციხესთან აკავშირებს. მის შესახებ ჯორჯ ბაირონიც წერდა.

ლეგნენდის თანახმად, ამ ხიდზე დამნაშავეები მიჰყავდათ, რომლებიც უკანასკნელად, ონგრით გადახდავდნენ ვენეციას.

თაღისებური, გოტიკურ სტილში შესრულებული შუა საუკუნეების „კარლის ხიდი“ დღემდე, პრაღის ერთეულობრივი ლინირდებას შენაობად მიმაგრება.





აცილევარეანდი

იცოდებაზოგ-უავავეაითი
ქოლაები

ერჩია ლჴალი უბის ნიგნაკოდან:



თუ ადამიანს მზის შუქი აღიზიანებს, ნაურუთხი წყალი კანს უწვავს, მასთან მყოფი შინური ცხრევლები აგრძელებათ ხდებიან, მისი გამოსახულება არ აირევლება სარტყეში და მხოლოდ სისტლით (ადამიანის, ცხოვლის) იკვეტება, მაშინ ის ვამპირი.

ვამპირები, უფრო სწორად — სისხლისმწვევლები თითქმის ყველა მითოლოგიაშია აღნიშვნილი, მაგრამ მათ სამშობლოდ მანც, ტრანსილვანია მიიჩნევა, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი ეპიდემია იმსახურდა. გუნდათლებელი გლეხები მიცვალებულებს მიმერტალურად მარხავდნენ; ხშირად, ადამიანებს კატალექსის (ფსიქიკური გადახრა, რომლის დროსაც ადამიანი ხანგრძლივი პერიოდით, პოზას არ იცვლის, ხშირად შიზონურებისას ახლავს) დროსაც გარდაცვლილად მიიჩნევდნენ და შესაბამისად, მათ მინას აპარებდნენ. ცოტა ხანში „მევდრები“ იღვიძებდნენ და საფლავიდან ამოსვლას ამონდ ცდილობდნენ. თავდაპირველად, სამარხებს ქურდები, მიცვალებულთა გამარცვის მიზნით, მოგვინებით კავშირისას გამოსახლენდნდ, დაკარალიდან რამდენიმე დღეში თხრიდნენ. თუ ადამიანი ბუნებრივი სიკვდილით კვდებოდა, სხეული უცვლელად ხვდებოდა, კატალექსის შემთხვევაში, გვამს პოზა შემონაბეჭდით, ხოლო თუ ფრჩხილების ქვეშ და პირში სისხლის კვალსაც აღმოჩენდნენ, ვამპირად შერაცხავდნენ. ხშირად, გაცოცხლებული ადამიანებისთვისაც მიუსწოდათ, რომელსაც მაშინვე ვამპირად შერაცხავდნენ ხოლმე და გულ-მეკრდში სარის ჩარჭობით, საბოლოოდ კლავდნენ.

გარდაცვლილების გარდა, ვამპირებად მიიჩნევდნენ ნითურებს და ყველას, ვისაც დაბადებისას რაიმე ნაკლი ჰქონდა. საბერძნეთში, სადაც ძირითადი მოსახლეობა შავთვალებაა, ცისფეროთვალებას აუკილებლად, ვამპირად შერაცხავდნენ. ასევე, ვამპირი მოისხისნებდნენ თვითმეცვლელებს, რომელთაც კვლესი ცოდვილებად მიიჩნევდა. XIX საუკუნეში ბერძნებს ისე სჯეროდათ ვამპირების არსებობის (მათ ვრიოლვასებს ეძახდნენ), რომ გარდაცვლილის სამარხს 3 წლის შემდეგაც თხრიდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ გვამი მინად იქცე. ძველი ბერძნები გადაცვლილს პირში ობოლს (ბერძნული მონტა) უდებდნენ, რათა ბოროორ ძალებს სხეულში არ შეეღწიათ, XIX საუკუნეში კი, იმავე მიზეზით, პირზე ცვილით ჯვარს ასვამდნენ. უნგრელები და რუმინელები გარდაცვლილს ყველზე ცელს უმაგრებდნენ, რათა გაცოცხლების შემთხვევაში, ადგომისას თავი მოჰკვეთოდა. აგრძელები მაჩინდათ, რომ ვამპირები ვერ იტანდნენ ნივრის სუსნ და გარდაცვლილს თვათან ინირს სუდებდნენ ან ნივრის გალას ყველზე ჰკიდებდნენ.

ვამპირიზმის გმოვლენების შემთხვევები დოკუმენტურად პირველად 1721 წელს, აღმოსავლეთ ევროპაში აღნირეს. ვამპირებად მიიჩნევს პრუსიელი პეტერ ბლაგოვენი და სერბი არნოლდ ბაოლე. ბლაგოვენი 62 წლის ასაკში გარდაიცვალა, მა-


გრამ დაკრძალვის შემდეგ, რამდენჯერმე მინ დაპრუნებული ნახეს. ერთხელაც, მას შვილისთვის საჭმელი უთხოვია და უარის მიღების შემდეგ, ვაჟი მოუკლავს, მოგვიანებით კა მეზობლებზე დაუშენია თავდასხმა — მათ სისხლგამოცლილებს პოულობდნენ... ყოფილი სახელდროსთვის, არნოლდ პაოლესთვის ვამპირს უკანებია და ისიც სისხლისმწოვლად ქცეულა. ამის შემდეგ, მასაც შემზობლებზე დაუშენია ნადირობა... ამ ორმა შემზობლებვები მოსახლეობაში საშინელი პანიკა გამოიწვია. ავსტრიის იმპერატორიცა, მარათა ტერეზამ საქმეში გასარკვებად პარიზიდან ექტომიც კი გაგზავნა. მან ვამპირიზმის შემთხვევები არ აღარა და იმპერატორიცას ბრძანებით, საფლავების გათხრა, მათი ნაბილნაც აკრძალა.

ვამპირები დღესაც არსებობენ. 2003 წელს მალავიში (სახელმწიფო აფრიკაში) ქვით ჩაქოლეს ვამპირად შერაცხილი ადამიანი, ხოლო მისი დანამუშლის ოთხ თანამონანილეს, მათ შორის, გუნდენატორი ერთ ჩივაისაც სასტრიგად გაუსწორდნენ; 2004 წელს რუმინელი ტომ პეტრე ნათესავებმა ვამპირად გამოაცხადს, გვამს გული მიოცალებს, დაწეს და წყლის შემთხვევები არ აღარარ და იმპერატორიცას ბრძანებით, საფლავების გათხრა, მათი ნაბილნაც აკრძალა.

— მანაბელი თარგმნიდან, ჭავჭავაძე კი ფრაზების გამართვაში შევლოდა. „მევე ლირი“

რომა შემზობლება ადამიანსა თარგმნა, ამას ადვილად მიხვდებით, თუკი ამ ნაწარმოებს მასაბლის თარგმნილ სხვა პიტუბს შეადარებთ. 21. შესაბირის ტრაგედია — „მევე ლირი“ ივანე მაჩაბელმა და ილა ჭავჭავაძე ერთობლივ ბრძანებული დაავადება სჭირდა. შესაბირის შემზობლებაში შემონაბეჭდი გამოიწვია არ აღარარ და იმპერატორიცას ბრძანებით, საფლავების გათხრა, მათი ნაბილნაც აკრძალა. 22. ბრიტანეთის ტელევიზია საპირველაპრილო სუმრობას იმ მფრინავებს დაესხსა, რომელთაც ანტარქტიდაში უწევდათ ფრენა. ისინი ირშეუნებოდნენ, პინგვინები თვითმფრინავს თვალს აყოლებენ, ზურგზე ეცემიან და ვეღარ დაგბინო. ტელევიზია მობილიზაცია გამოაცხადა მოხალისეთათვის, ვინც ანტარქტიდაში პინგვინების გადმობრუნებაზე იმუშავებდა. რეზონანსი არნასული იყო — მსურველთა ზარებს დასასრული არ ჰქონდა, რამაც მაყურებულთა გულუბრყვილობასთან ერთად, მოქალაქეთა მზარდი ეკოლოგიური თვითმეგნება წარმოაჩინა.

23. ალფრედ კრუპი თვითნასწავლი მენარე იყო. 1851 წელს მან ლონდონის გამოფენაზე წარადგინა ქვემები, რომელიც ბრინჯაოსგან კი არა, ფოლადისგან იყო დასახულებული. ინგლისელებმა გაკვირვება ვერ დაფარებს და ინიციატივით გამოვიდნენ, კრუპის ნაწარნერა: „დამზადებულია გერმანიაში“. ინგლისელები იმედოვნებდნენ, რომ ეს ორი სიტყვა სამომავლოდ, დაბალი ხარისხის აღმიშვნელ დამზადად იქცევდა, მაგრამ მოხდა პირიქით — წარნერა უსაბალები სისტემის ფორმა კოსტიუმი გადაიღო.





სერია A-ში დაპაბულობა გაფულობს



გასულ შაბათს ტურინში, სერია A-ს მორიგ ტურში „იუვენტუსმა“ მიღანის „ინტერს“ უმასპინძლა. როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი ძალზე დაძაბული და საინტერესო გამოვიდა. „იუვენტუსმა“ ჩემპიონატის ლიდერს ანგარიშით — 2:1 სძლია და 3 ქულა „წართვა“, რის შედეგადაც, „ინტერს“ სხვა იტალიური გრანდები წამოენიჭენ: „იუვენტუსი“, რომელიც ცხრილში მეტად ადგილზე იმყოფება და უზრი მოურინიოს გუნდს 5 ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზე მყოფი „მილანი“, რომელსაც უკვე მხოლოდ 4 ქულა შორებს ლიდერს. მატჩის შემდეგ, „ბენერი ქალბატონის“ ახალგაზრდა მწვრთნელი, ჩირო ფერარა საკვალიფიციური გამოცილი ჩანდა და ეს უურნალისტებთან შეხვედრისას არც დაუმალავს. აი, უოზე მოურინიომ კი კომენტარის გაკეთება არ ისურვა და სასწრაფოდ დატოვა „იუვეს“ სტადიონი. სამაგიეროდ, მატჩის შეფასებისგან თავი არ შეუავებია „იუვენტუსის“ ლეგნდარულ კაპიტანს, ალესანდრო დელ პიეროს, რომელმაც სიხარული ვერ დაფარა: „ბრწყინვალე თამაში გამოვიდა. განსაკუთრებით მხარებს ის, რომ მივაღწიეთ შედეგს, რომელსაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ საკუთარი პოტენციალისა და იმის დამტკიცება გვსურდა, რომ მზად ვართ, დიდი მიზნების მისაღწევად ვიბრძოლოთ. „იუვეს“ წარმატებამ კველას დიდი მუხტი უნდა მისცეს და თუ მართლაც, მიზანსწრაფული გუნდი გვინდა ვიყოთ, ასეთივე აგრესიულობითა და შემართებით უნდა ვიბრძოლოთ სხვა თამაშების დროსაც, — სერია იქნება ეს თუ ჩემპიონთა ლიგა“, — დასძინა ფეხბურთის დიდოსტატმა.

ლეო ბესი — საუკათასო საუკათასო გუდი

ლიონელ მესის ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი უდგას. მან „ბარსელონასთან“ ერთად, წელს ყველაფერი მოგომ, რის მოგებაც შეიძლებოდა. გასული სეზონის მსავალია, „ბარსელონა“ ესანერთის ჩემპიონატშიც და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფშიც ლიდერობს. გარდა ამისა, კატალონიურ კლუბს აქვს შანსი ისტორიაში პირველად გახდეს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი, მესის კი — ფიფას ვერსიით, პლანეტის წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვოს. ფიფას ოფიციალური საიტის წარმომადგენელთან საუბრისას არგენტინელი „ვუნდერკინდი“ ჩვეულებისამებრ, მოკრძალებული და სატყვამუნწი იყო...

— 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის კონფიდენციალური უკვე ცნობილია. შეუძლია არგენტინას ამ ტურნირის მოგება?

— ნაბიჯა-ნაბიჯ უნდა ვიაროთ, მშვიდად ვიყოთ, ვიშრომოთ და თითოეული მატჩის დროს ძალების კონკურირება მოვახდინოთ. ჩემპიონობაზე ფიფას სჯობს, კონკურეტულ მატჩებში გამარჯვებაზე ვიფიქროთ.

— ფინალურ ეტაპზე მოხვედრა პრობლემატური გახდა. ამჟამად როგორი მდგომარეობა გუნდში?

— ეროვნული ნაკრებისთვის ახალი ეტაპი ახლასან დაიწყო. საკვალიფიციო ეტაპი უკან დარჩა. ახლა საერთაშორისი დრო გვაქვს იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატამდე თამაში გავაუმჯობესოთ და ვფიქრობ, რომ პოზიტიური ცვლილებების შეტანას მოვასწრებთ.

— ცოტა ხის წინ ფიფა/„კოკა-კოლას“ რეიტინგის ლიდერის, ესპანეთის ნაკრებს ეთამაშეთ. რა შეგნატა ამ მატჩის?

— ძალიან კარგი შეხვედრა იყო. პირველ ტაიმში მეტოქე უკეთ გამოიყორებოდა, მაგრამ შესვენების შემდეგ თამაში გავაუმჯობესეთ და მოგებაც შეგვეძლო. ეს, ორივე გუნდისთვის კარგი გამოცდა იყო. ესპანეთის მისაღწევად ვიბრძოლოთ. „იუვეს“ წარმატებამ კველას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ საკუთარი პოტენციალისა და იმის დამტკიცება გვსურდა, რომ მზად ვართ, დიდი მიზნების მისაღწევად ვიბრძოლოთ. „იუვეს“ წარმატებამ კველას დიდი მნიშვნელობა უნდა მისცეს და თუ მართლაც, მიზანსწრაფული გუნდი გვინდა ვიყოთ, ასეთივე აგრესიულობითა და შემართებით უნდა ვიბრძოლოთ სხვა თამაშების დროსაც, — სერია იქნება ეს თუ ჩემპიონთა ლიგა“, — დასძინა ფეხბურთის დიდოსტატმა.



ეთის ნაკრები „ბარსელონასთან“ მიმსგავსებული სტილით გამოირჩევა. მას არაერთი ფანტასტიკური ფეხბურთელი ჰყავს.

— თუ მიგაჩნიათ მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფაფორტად ესანერთი?

— ჩემი აზრით, დალესდლეობით ესანერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ის საუკეთესო ფეხბურთს უჩვენებს და შესძაბამისი შედეგებიც აქვს.

— ახლა საკლუბო ფეხბურთს დაუუპრუნდეთ, სადაც კადევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონატი გელით,





ამჟერად — აბუ-დაბიში. ეს საკანონი მნიშვნელოვანი ტურნირია. ალბათ გხიბლავთ, წლეულს კიდევ ერთი ტატულის მოგების შესაძლებლობა, არა?

— ესაა ტიტული, რომელიც არც „ბარსელონას“ და არც მისი დღევანდელი ფეხბურთელების უმეტესობას არასდროს მოუგია. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი ასევე იქნება ისტორიული წლის ბოლო ტურნირი და გვურს, მასში წარმატებას მივალწიოთ. რაც შემძებება პირადად მე, — ვეცდები, კვლავ მომავალზე ვიყო ორიენტირებული და საკუთარ განვითარებაზე ვიზრუნო. ჩემი სურვილია — „ბარსელონასთან“ ერთად, ტიტულების მოგება და მომავალ ზაფხულში სამხრეთ აფრიკაში კარგად ასპარეზობა.

— მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე „ბარსაძ“ 2006 წელსაც ითამაშა, მაგრამ მაშინ ტრავმის გამო, ტურნირში ვერ მიიღეთ მონაწილეობა. თუ ფიფამთ, რომ 3 წლის წინ დაშვებული შედებობი გუნდმა ისე კარგად გაანალიზა, რომ წლეულს წარმატების მიღწევას მოახერხებს?

— დიას. სამწუხაროდ, ტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მივიღე ტრავმა და იძულებული ვიყავი, თამაშებისთვის არგენტინიდან მედევნებინა თვალი. ერთ-ერთი გაკვეთილი, რომელიც გუნდმა მიიღო, ის გახდავთ, რომ საკუთარ თავში ზედმეტად არ უნდა იყო დარწმუნებული და მეტოქე საფუძვლიანად უნდა გყავდეს შესწავლილი.

— „ბარსელონა“ საუცხოო ფეხბურთს უჩვენებს. თუ მიგამინათ დღევანდელი კოლექტივი ყველაზე ძლიერ გუნდად მათ შორის, სადაც საერთოდ გითამაშიათ?

— ამას კატეგორიულად ვერ ვიტყვი. საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავდა 2006 წელს, როდესაც ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ. იმ დროს ჩენთან თამაშობდნენ: რონალდინიო, დეკუ და შამუელ ეტო'ო. დიდი სიამოვნება იყო იმ გუნდის წევრობა. როგორც დღევანდელმა, ასევე მაშინდელმა გუნდმა ბევრს მიაღწია, ამიტომ არჩევანის გაკეთება მიძნელდება.

— დაბოლოს: თქვენ უკვე მოიგეთ „ფრანს ფეხბულის“ მიერ დაწესებული „ოქროს ბურთი“. ფიფას წლის საუცხოესო ფეხბურთელის კინაბა მაღლება გახდება ცნობილი. შეძლებთ წელს, ბოლოს და ბოლოს, ამ ჯილდოს მოპოვებას?

— ამ ჯილდოს მოგების შანსი მესამედ მეძლევა და იმედი მაქს, ეს მცდელობა მიინც აღმოჩნდება წარმატებული (იცინის). ■

პერესი საუკუნის დამლევს „ჭვრატის“...

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი მა, ფლორენტინო პერესმა დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ესპანური გრანდი XX საუკუნის საუცხოესო გუნდად დაასახელეს. ახლა უკვე მომავალზე ფიქ-რობს და აცხადებს, რომ სურს, „რეალი“ საუკუნის საუცხოესო კლუბადაც აღიარონ. „ჩენ აქედანვე უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ XXI საუკუნის საუცხოესო კლუბის წოდება მოვიპოვოთ. მსოფლიოს საუცხოებულო სამყარო აღმაცერად უყურებს მადრიდის „რეალს“, რადგან ფეხბურთელების შესაძნად, მართლაც დიდ თანხებს ვარჯვათ და თითქოს ამით საკუთარ თავს სსვებზე მაღლა ვაყენებთ. მაგრამ არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ საუკუნის დამლევამდე კიდევ 90 წელზე მეტია დარჩენილი... ■



საუკუნის საუცხოესო კლუბის წოდება მოვიპოვოთ, აქედანვე ბევრი უნდა ვიშრომოთ. პირადად მე, ძალ-ლონეს არ დავიშურებ, „რეალია“ რომ ამ მიზანს მიაღწიოს“, — დასძინა ფლორენტინო პერესმა, რომელმაც მართლაც შეძლო მსოფლიოში XX საუკუნის ერთ-ერთ საუცხოესო კლუბად „რეალის“ ქცევა, მაგრამ არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ საუკუნის დამლევამდე კიდევ 90 წელზე მეტია დარჩენილი... ■

ანჩელონი — „პრემიერი“ პრემიერლიგაში

ლონდონის „ჩელსის“ თავაცი, კარლო ანჩელონტი პრემიერლიგის ნომებრის თვის საუცხოესო მწვრთნელი გახდა. ნომებრში „ჩელსიმ“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ დამარცხა, თანაც ისე, რომ საკუთარ კარში ბურთი არ მიუღია. დედაქალაქის გუნდმა ასევე, გამანადგურებელი ანგარიშით — 4:0 მოუგო „ულვზს“ და სატურნირო ცხრილში პირველი ადგილიც შეინარჩუნა. ანჩელონტიმ პირველად გაიმარჯვა პრემიერლიგის მწვრთნელებს შორის და „ჩელსის“ მეორე იტალიელი წარმომადგენელია, რომელიც თვის მწვრთნელად დაასახელებს: 2004 წლის მარტში ეს ტიტული კლაუდიო რანიერის ერგო. „ძალიან მოხარული ვარ; იმასაც დავძენ, რომ მინდა, ჩენმა გუნდმა დეკმბერშიც ასე-თივე კარგი შედეგი უჩვენოს და პრემიერლიგის თვის საუცხოესო მწვრთნელად კვლავ მე დამასახელოს“, — ღიმილით განუცხადა კარლონტო უურნალ-ისტებს „თვის მწვრთნელის“ ტიტულის მიღებისას. ■



რუბრიკა მოამზადა ეპა აბაშიძემ



როგორ უნდა მოისწოო ახირებულ მამატაცს

არსებობენ ისეთი ტიპის მამატაცები, რომლებსაც ქალებისთვის, გარენობასთან დაკავშირებული შენიშვნების მიცემა გამორჩეულად უყვართ. თანაც დელიკატურად, ჩუმად კი არ ეუბნებიან, არამედ ყველას გასაგონად უცხადებენ: „ეს კაბა საშინლად არ გიხდება“; ან — „ეს შარვალი სად გამოძენე?“.. საყურადღებოა ის გარე-მოება, რომ შენიშვნების ავტორი შეიძლება, არა მხოლოდ თქვენ მეუღლე ან მეგობარი, არამედ კოლეგა (მით უარესი, თუ ის თქვენ შეფია), მეგობრის ქმარი ან ახალი ნაცნობიც კი იყოს. ამიტომ სშირად იბნევით და არ იცით, თავხედი თავის ადგილის როგორ „მისვათ“ ისე, რომ მასთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ.

ფაქტობრივად, საყვარელ მამატაცს თეორიულად უფლება აქვს, თქვენ გარენობის გაუმჯობესებაზე იზრუნოს, მაგრამ შენიშვნა-რეკომენდაციები უსათუოდ აკურატულად უნდა მოგცეთ. მუდმივი კრიტიკის შემთხვევაში კი ისლა დაგრჩენიათ, ან საბოლოოდ შეეგუროთ მის ახირებას, ან საწინააღმდეგო მოქმედების სტრატეგია შეიმუშაოთ.



როგორ უნდა მოიქცეო?

აღბათ, პირველი, რაც თავში მოგვიათ, მასთან კავშირის გაწყვეტაა. მაგრამ თუ ეს შარიანი მამატაცი თქვენთვის ძვირფასია, მაშინ შეეცა-დეთ, ხელახლა აღზარდოთ. თუმცადა, ეს ძალიან რთულია. ყველასთვის ცნობილია, რომ ზრდასრული ადამიანი იშვიათად იცვლება. ასეა თუ ისე, ფსიქოლოგებმა თქვენზე იზრუნეს და შეიძულებელი რჩევათა კრებული, რომელიც შარიან მამატაცებათან საბრძოლველად და მათზე გასამარჯვებლადაა გამიზნული.

ნებია მამაკაცი

მას არ მოსწონს არც ერთი თქვენი ნივთი. შეწუხებული ამტკიცებს, რომ ატროფირებული გემოვნება გაქვთ და კაბისა და ბომაზის დამოუკიდებლად შექნა არ შეგიძლიათ. გარდა ამისა, თქვენი ფიგურის, სახის ნაკვთების, თმის, ფრჩილებისა და ხმის მიმართაც კი პრეტენზია უჩინდება.

როგორ აისსინა მისი

ასეთი ესევა?

თუ ის მაშინაც ასეთი იყო, როცა გაიცანით, მაშასადამე, დაბადებიდან ბუზღლუნა ყოფილა. აიტან თუ ვერა, ეს თქვენი პირადი საქმეა, მაგრამ გახსოვდეთ: ამ სტადიაზე „ავადმყოფობა“ მეურნალობას უკვე აღარ ემორჩილება.

თუ ის უკანასკნელი თქვენი შენაძენით, სავარაუდოა, ამის მიღმა სულ სხვა გრძნობა იმაღლებოდეს: შეიძლება, მას თქვენ მიერ ფულის უყიორათოდ ხარჯვა აღიზინებს და ბანალურ სიძუნეს ასეთი დახელოვნებული ფორმით ნიღბას.

თუ ის, თქვენს გარენულ სტილს მეგობრების, მშობლების, მეზობლების, შემთხვევითი ნაცნობების თან-დასწრებით სასაცილოდ იგდება, მაშასადამე, თქვენთან განშორებაზე დიდი ხანია, ოცნებობს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად ძალა არ ჰქონის. თქვენი ღირსების მუდმივი შელახვით, ქვეც-

ნობიერად (ან შეგნებულად) იმე-დოვნებს, რომ ერთხელაც იფეთქებთ და თავმობეზრებული მასთან გან-შორებას გადაწყვეტით. მაშინ სუფთა სინდისით გაგეცლებათ.

თუ გულწრფელად ცდილობს ახალი ფეხსაცმელებისა თუ ჩანთების შერჩევაში მონაცილეობას, გარისევთ და დაეთანაბეჭთ. გამორიცხული არ არის, მართლა ზრუნავდეს თქვენს გარეგნობაზე. თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთები იშვიათად გვხვდებიან.

თუ დაბეჯითებით სურს, დაგარწმუნოთ, რომ სუპერსექსუალური კაბები (რომლებშიც საკუთარი თავი ძალიან მოგწონ) არ უნდა ჩაიცვათ, მაშასადამე, ფარულად ეჭვი-ანიბს და ყველა მისი შენიშვნა თქვენს სამსუქნესა თუ სიგამხდრეზე — რაც ასეთ კაბებში მკაფიოდ იკვეთება — სინამდვილეში, იმისთვისა გამიზნული, რომ საკუთარ არასრულფასოვნებაში დაგარწმუნოთ.

თუკი ახალ ვარცხნილობას გინუნებთ, უბრალოდ, არ ესიამოვნა, რომ შეიცვალეთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ცვლილება უკავესობის-კენაა, მამატაცი თავს მოუსვენრად გრძნობს. მას ურჩევნია, ყოველთვის ერთნაირად გამოიყურებოდეთ. თქვენი ერთფეროვნება მისი სიმშვიდის გარანტია!

თქვენი რეაქცია

გაბრაზება ან მკვახე პასუხის გაცემა უზრობაა. შესაძლებელია, ის სწორედ ასეთ რეაქციას ელის ჩხების წამოსაწყებად. ამიტომ, პირველ რიგში, მოლოდინი უნდა გაუწიოლოთ: თავაზინად გადაუხადეთ მაღლობა წვრილ-მანებისადმი ასეთი უურადღების გამოჩენის გამო; დაპირდით, რომ აშერიდან ნებისმიერი ნივთის, სამოსის ან კოსმეტიკის შეენისა რჩებას აუცილებლად ჰქითხავთ. თქვენი ასეთი რეაქცია მას უსათუოდ გააკვირებს. მომვალში საყიდლებზე ერთად წადით და შესთავაზეთ, გამოსასვლელი ტანსაცმელი თვითონ აგირჩიოთ. ანგარიშსაც, რა თქმა უნდა, ის დაფარავს. ეს ვარიანტი შესანიშნავად მოქმედებს ძნნებზე — ისინი სასწრაფოდ სხვა თემაზე იწყებენ ლაპარაკს, კრიტიკა ავინიშებათ და კომპლიმენტებით გაესხებნ.

შეძლებული მამატაცი ზოგჯერ უკიდურესად მტკიცნეულად აღიქვამს ქალის ფინანსურ დამოუკიდებლობას. თქვენი ნაგაჭრი მას შეიძლება, მხოლოდ იმიტომ არ მოსწონს, რომ ის მისი ფულით არ არის შეძენილი.



მარტინი

დიეტი

ასეთ დროს ვერაფერს გააწყობთ, გარდა იმისა, რომ ყოველი ამგვარი შენაძენის შემდეგ დაარნებულოთ ხოლმე — ეს აღარ განმეორდება.

საჯაროდ დაცინვის შემთხვევაში საქმე სერიოზულ ჩეუბამდე ან ფარულდ ცრემლების ღვრობიდე არ მიიყვანოთ, მაგრამ არც მოუთმინოთ — მკაცრი და შეუვალი ტონით უთხარით: „არ მსურს ამ საკითხის სხვების თანდასწებით განხილვა. გარდა ამისა, არ გეთანხმები და მოდი, ამაზე ლაპარაკი შეცნებიტოთ“. მთავარია, თავი ღირსეულად გეჭიროთ და მას თქვენი დამცირების უფლება არ მისცეთ.

თქვენი გარეგნობის ან ჩაცმის სტილის აბურად აგდებით, ის, სავარაუდოა, სხვა სფეროში თქვენი უპირატესობის კომპენსაციას ახდენდეს. მაგალითად, თუკი თქვენ მასზე გაცილებით ერუდირებული, ნიჭირი, ამავე დროს, მატერიალურადაც წელში გამართული ხართ; ანდა, მას უფრო ძლიერად უყვარხართ, ვიდრე თქვენ — ის და უკვე აღარ იცის, როგორ მიიპყროს თქვენი ყურადღება. ასეთ შემთხვევაში რაიმე ქმედითის რჩევა ძნელია. თუ მან, ურთიერთობის დასარგეულირებლად, ასეთი გზა შეგნებულად აირჩია, საეჭვოა, ამაზე უარი თქვას.

